ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 19 თებერვალი, 2020 №41 (8305) ფასი: 60 თეთრი

## გუდაურში მკვლელობისთვის დაკავებული მერაბ კობიაშვილი სასტიკადაა ნაცემი


გვ.5

რა მოხდა გუდაურის ღამის ბარში 2 კვირის წინ

## 18 თებერვლიდან

მიხეილ კვესელავა

## ნიურნბერგის პროცესი

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი




# „ხელისუფლება ოპოზიციის ლიდერების დაკავებით ვერაფერს მიაღწევს“

ზურაბ მელიქიშვილი: „ხალხს ყელში ამოუვიდა ივანიშვილის გუნდრუკის მკმეველები, რომლებიც მილიონებს ვეღარ ითვლიან“


გვ.3






## „დავითგარეჯი უნდა დავიბრუნოთ“



ნიკოლოზ მჟავანაძე დავითგარეჯის დაცვის კომიტეტს ქმნის


გვ.3

## შოთა მალაშხია: „ივანიშვილმა რა სისტემაც არ უნდაააშენოს, მაინც დავმარხავთ“


გვ.4

„დაჭერების არავის ეშინია“

## თალაკვაძემ გომელაურსა და პოლიციელებს მადლობა გადაუხადა


გვ.4


გვ.2

## გია ხუხაშვილი: „განცდა რჩება, რომ ომიანობის პერიოდში ხელისუფლება გვარდიის მობილიზაციას ახდენს“

## აშშ-ის საელჩო: „კელი დეგნანმა ოპოზიციის ლიდერებს გასაცნობად და საქართველოს პოლიტიკურ გარემოზე სასაუბროდ უმასპინძლა“


გვ.2


გვ.3

## „ოცნებაც“ და ოპოზიციაც თავიანთი ამომრჩევლის შენარჩუნებას ცდილობენ“

ISSN 1987-9385

9 771987 938006

**5** ტაქსის მძღოლი მოკლა, ცხედარი მანქანაში ჩასვა და მანქანა დაწვა

პოლიციამ ნ.ხ. დააკავა

**2** პარლამენტმა გენერალური პროკურორის პოსტზე ირაკლი შოთაძე დაამტკიცა

**5** სამტრედიაში განქორწინებისთვის მისულ სალომე ბოხუას რეესტრში ქმარმა ყელი გამოსჭრა

დაკავებულია გ.ა.

**6** დონბასში უკრაინის პოზიციებს თავს დაესხნენ

# პარლამენტმა გენერალური პროკურორის პოსტზე ირაკლი შოთაძე დაამტკიცა



პარლამენტმა გენერალური პროკურორის პოსტზე ირაკლი შოთაძე დაამტკიცა. მას მხარი 82-მა დეპუტატმა დაუჭირა (არც ერთი წინააღმდეგი). პლენარულ სხდომაზე კენჭისყრას ესწრებოდა თავად ირაკლი შოთაძეც.

კენჭისყრაში მონაწილეობა 7-მა დეპუტატმა არ მიიღო. რეგისტრაცია სულ 89 დეპუტატმა გაიარა, ხოლო შოთაძეს მხარი 82-მა დეპუტატმა დაუჭირა. კენჭისყრაში მონაწილეობისგან თავი შეიკავეს იმ დეპუტატებმა, რომლებმაც „ქართული ოცნება" საარჩევნო სისტემის ცვლილებაზე კანონპროექტის ჩაგდების შემდეგ დატოვეს, მათ შორის დიმიტრი ცქიტიშვილმა, თამარ ხულორდავამ, თამარ ჩუგოშვილმა.

ბოიკოტის ნიშნად, გუშინდელ პლენარულ სხდომას, უმრავლესობის გარდა, არც ერთი სხვა ფრაქცია არ დასწრებია. სხდომას არ ესწრებოდა არც დამოუკიდებელი დეპუტატების ნაწილი.

აღსანიშნავია, რომ შოთაძის კანდიდატურის განხილვა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე არ მომხდარა და ბიუროს გადაწყვეტილებით, საკითხი პირდაპირ კენჭისყრაზე გავიდა.

შეგახსენებთ, რომ საპროკურორო საბჭომ აღნიშნულ თანამდებობაზე შოთაძის კანდიდატურა მიმდინარე წლის 7 თებერვალს აარჩია. მას მხარი საბჭოს 11-მა წევრმა დაუჭირა.

ირაკლი შოთაძე საქართველოს მთავარი პროკურორის თანამდებობას 2015 წლის 19 ნოემბრიდან 2018 წლის 31 მაისის ჩათვლით ხელმძღვანელობდა. აღნიშნული პოსტი მან მას შემდეგ დატოვა, რაც ხორავას ქუჩაზე მოზარდებს შორის მომხდარ მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ქუჩის მასშტაბური საპროტესტო აქცია მოჰყვა.

შოთაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას ის პრიორიტეტები დაასახელა, რომლებზეც მომავალი წლების განმავლობაში იმუშავებს. ახალდამტკიცებული გენერალური პროკურორის თქმით, ეს პრიორიტეტებია პროკურატურის გაძლიერება, საზოგადოებრივი ნდობის ამაღლება, სამართლიანობის აღდგენა, სისხლისსამართლებრივი დევნისა და საპროკურორო ზედამხედველობის გაძლიერება.

– უპირველეს ყოვლისა, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო პარლამენტსა და საპროკურორო საბჭოს მხარდაჭერისთვის. მადლობა ჟურნალისტებს ამ პროცესში ასე აქტიური მონაწილეობისთვის იმიტომ, რომ მასმედიის ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანია, რათა საზოგადოებამ დაინახოს ის პროცესი, თუ როგორ მიმდინარეობს ყველაფერი და ვფიქრობ, საზოგადოებამ კარგად დაინახა, რაოდენ გამჭვირვალედ წარიმართა ეს კონკურსი. ორი თვის განმავლობაში გრძელდებოდა, ორი გასაუბრება გაიმართა და მე გავეცი ყველა კითხვას პასუხი. წარვადგინე ჩემი პროგრამა, ხედვა პროკურატურის განვითარების და გაძლიერების მიმართულებით. შესაბამისად, მე რაც ვისაუბრე ამ გასაუბრების ეტაპზე, იქნება ის ძირითადი პრიორიტეტები, რა მიმართულებითაც აქტიურად ვაპირებ მუშაობას. ეს იქნება პროკურატურის გაძლიერება, საზოგადოებრივი ნდობის ამაღლება, სამართლიანობის აღდგენა, სისხლისსამართლებრივი დევნისა და საპროკურორო ზედამხედველობის გაძლიერება და ა.შ არის ბევრი გამოწვევა, ბევრი საქმეა გასაკეთებელი, – განაცხადა ირაკლი შოთაძემ.

# გია ხუხაშვილი: „განცდა რჩება, რომ ომიანობის პერიოდში ხელისუფლება გვარდიის მობილიზაციას ახდენს"

– განსაკუთრებული ომიანობის პერიოდში ხელისუფლება გვარდიის მობილიზაციას ახდენს, ხელისუფლება ბუნკერში ჩადის და ყველაზე სანდო და „კარგ შემსრულებელ" კადრებს ეყრდნობა – ასე აფასებს ექსპერტი გია ხუხაშვილი „ინტერპრესნიუსთან" გენერალურ პროკურორად ირაკლი შოთაძის დანიშვნას.

გია ხუხაშვილი სისტემის მანკიერებაზე საუბრობს და აცხადებს, რომ ასეთ ვითარებაში „შოთაძე იქნება გენერალური პროკურორი თუ ქიბროწაშვილი, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს".

– შოთაძემ თქვა, პროცესი გამჭვირვალედ წარიმართაო. გამჭვირვალობას ნამდვილად ვერ დავუწუნებთ იმის გამო, რომ შორიდანაც კი კარგად ჩანდა, რომ მას აირჩევდნენ გენერალურ პროკურორად. ამ კუთხით თუ შევაფასებთ, ნამდვილად გამჭვირვალე იყო პროცესი.

რაც შეეხება თავად შოთაძეს, ის არავისზე უარესია და არავისზე უკეთესი. საერთოდ პრობლემა არის სისტემური. თვითონ მმართველობითი სისტემის ალგორითმია მანკიერი. პროკურატურა პოლიტიკურ დაკვეთაზე მუშაობს და ეს არის პრობლემა. შესაბამისად, ამ მანკიერ სისტემაში შოთაძე იქნება გენერალური პროკურორი თუ ქიბროწაშვილი, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, – განაცხადა გია ხუხაშვილმა.

მისივე თქმით, თანამდებობებზე შერჩევის კრიტერიუმები უფრო და უფრო ვიწროვდება და ხელისუფლებისთვის კადრების შერჩევის თვალსაზრისით გადამწყვეტი სანდოობა ხდება.

– რაც შეეხება საკადრო დეფიციტს, სისტემა განიცდის სტერილიზაციას, მისი კრიტერიუმები საკადრო შერჩევის უფრო და უფრო ვიწროვდება, მხოლოდ ნდობაზე და განსაკუთრებულ ანგაჟირებულობაზეა დამყარებული, თითქოს ასეთი განცდა რჩება, რომ განსაკუთრებული ომიანობის პერიოდში ხელისუფლება გვარდიის მობილიზაციას ახდენს. სრული სტერილიზაცია ხდება, ბუნკერში ჩადის ხელისუფლება და ყველაზე სანდო და „კარგ შემსრულებელ" კადრებს ეყრდნობა, რაც ძალიან სამწუხარო საყურებელია. ისინი შეიძლება საკუთარი ძალაუფლების გადარჩენის თვალსაზრისი ლოგიკას ხედავენ, მაგრამ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ეს დამანგრეველია, როცა მმართველი სისტემა ასე იკვეთება თავის თავში და სტერილური ხდება, სახელმწიფოებრივ განვითარებაზე ლაპარაკიც ზედმეტია, – განაცხადა გია ხუხაშვილმა.



კითხვაზე, რამდენად უნდა ველოდოთ საერთაშორისო კრიტიკას ირაკლი შოთაძის დანიშვნასთან დაკავშირებით იმ ფონზე, როცა გარკვეულ საქმეებზე კითხვის ნიშნები არსებობდა, ხუხაშვილი ამბობს, რომ კონკრეტულ საკითხზე კრიტიკა გადამწყვეტი უკვე აღარ არის, რადგან საერთაშორისო საზოგადოებამ დიაგნოზი უკვე დასვა.

– შოთაძესთან დაკავშირებული კრიტიკით აღარაფერი იცვლება, რადგან მოცემულობა ასეთია, რომ დასავლეთმა დიაგნოზი უკვე დასვა. იმის ილუზია და იმედზე ყოფნა, რომ 7-8 კონგრესმენმა გამოთქვა კრიტიკული მოსაზრებები და იქ კიდევ 400 კაცი ზის კონგრესში, არის სიბრიყვე ან უტიფრობა. საბოლოო ჯამში სახელისუფლებო მანკიერება და ხელისუფლების მიმართ კრიტიკული განწყობები თუ დიდი ხნით გაგრძელდა, ეს სახელმწიფოსაც დააზიანებს, – განაცხადა გია ხუხაშვილმა.

# „გიორგი ვაშაძე თუ გინდათ, დავუყვირებთ: არ მოვდივართ დიალოგზე! მანდატებით ვაჭრობაში არ შევდივართ"

– მანდატებით ვაჭრობაში ჩვენ არ შევდივართ – ასე ეხმაურება „ახალი საქართველოს" თავმჯდომარე გიორგი ვაშაძე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძის განცხადებას, რომლის თანახმადაც, თუ ოპოზიცია დიალოგში დაბრუნებასა და შეთანხმებას ვერ შეძლებს, ეს იქნებ მკაფიო სიგნალი, რომ ეს ნაწილი დესტრუქციულია და მხარს უჭერს დესტაბილიზაციის პროცესს.



როგორც ვაშაძე აცხადებს, ოპოზიცია გამარჯვებამდე ერთიანი იქნება, ხოლო სამოქმედო გეგმას ისინი 4 აპრილს დაგეგმილ აქციაზე გააჟღერებენ.

– ჩვენი მშვიდობიანი, არაძალადობრივი პროტესტი გრძელდება იმიტომ, რომ სასწორზე დევს საქართველოს მომავალი. ჩვენ არც ერთი ნაბიჯით უკან დახევას არ ვაპირებთ. ასეთი მცირე, მშვიდობიანი აქციები გვექნება 4 აპრილამდე. 4 აპრილს ყველანი ვიკრიბებით „რუსთაველზე" – 04.04.04 – ძალიან დიდი შეკრება იქნება. ოპოზიცია გამოაცხადებს საერთო სამოქმედო გეგმას არჩევნებში მონაწილეობისთვის. უნდა მოვიდეს ყველა, ვისაც ყელში ამოუვიდა უმუშევრობა, სოციალური გაჭირვება, დემოკრატიის ხელყოფა, ყელში ამოუვიდა მოსამართლეები, რომლებიც ნულის და ჩალის ფასია. საქართველო დაადგა იზოლაციის გზას. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაში პრობლემა ეს ნიშნავს ძალიან დიდ უკან გადადგმულ ნაბიჯს და ნიშნავს „ქართული ოცნების" გადადგმულ ნაბიჯებს საქართველოს იზოლაციისკენ, ჩამოჭრისკენ დასავლური სამყაროსგან. ამათ რომ ქვეყანა უყვარდეთ, იმ განცხადებებს კი არ უნდა აკეთებდნენ სენატორებსა და კონგრესმენებზე, კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადადგან. ერთადერთი რამ აღელვებთ, თანამდებობები, კორუფციული ფული და ბიძინა ივანიშვილის მონური ერთგულება. ეს ყველაფერი უნდა დამთავრდეს და ამისთვის ოპოზიცია ერთიანი ვიქნებით. გვაქვს სამფაზიანი სამოქმედო გეგმა და აუცილებლად მივალთ გამარჯვებამდე, – განაცხადა გიორგი ვაშაძემ და დასძინა, რომ „მანდატებით ვაჭრობაში" ოპოზიცია ხელისუფლებასთან არ შედის.

– ერთსა და იმავე გზავნილს იმეორებენ 10 დღეა. არ მოვდივართ ამ დიალოგზე, დავუყვირებთ, თუ გინდათ. როგორ შეიძლება, დიალოგზე მივიდეთ, როცა ერთი ხელით გველაპარაკებიან, მეორე ხელით ადამიანებს იჭერენ. ყველა თანხმდება, რომ გიგი უგულავას დაკავება პოლიტიკური დაკავება იყო, ახლა ნიკა მელიაზე წაიღეს საქმე სასამართლოში, ნიკა გვარამიას საქმე, ბადრი ჯაფარიძის, ხაზარაძის, ავთო წერეთლის საქმე. ძალიან დიდი ბოდიში, რამის გაკეთება უნდათ? დააინიცირონ პარლამენტში და ვნახავთ, ადეკვატურია? ითვალისწინებს პროპორციულ მისწრაფებებს? – ჩვენ მხარს დავუჭერთ! არაადეკვატურია? – ხალხს ვერ მოვატყუებთ! მანდატებით ვაჭრობაში ჩვენ არ შევდივართ, – განაცხადა ვაშაძემ.

## კობახიძე ხოშტარიასა და ნადირაშვილზე: „ესენი არიან სასოწარკვეთილი „ნაციონალი" დიასახლისები"



უმრავლესობის ერთ-ერთ ლიდერ ირაკლი კობახიძის განცხადებით, ოპოზიციონერი დეპუტატები ელენე ხოშტარია და ირმა ნადირაშვილი არიან სასოწარკვეთილი „ნაციონალი" დიასახლისები. ამის შესახებ კობახიძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

– არსებობს „სასოწარკვეთილი დიასახლისები". ესენი არიან სასოწარკვეთილი „ნაციონალი" დიასახლისები, რომლებიც უკვე მეორედ შემოვიდნენ პარლამენტის სხდომათა დარბაზში. წინა ტოქსიკური შეტევის მერე რამე უარესსა და უფრო მდაბიოს თუ მოიფიქრებდნენ, ძნელად წარმოსადგენი იყო, თუმცა ესეც მოახერხეს, – განაცხადა კობახიძემ.

მისივე თქმით, იმ ადამიანების ადგილი, რომლებიც ხელით და გულით აატარებენ საბჭოთა კავშირისა და რუსეთის ჰიმნს, არ არის საქართველოს პარლამენტში.

ნაციონალური მოძრაობა არის საბჭოთა კავშირის ბოლო გადმონაშთი საქართველოში თავისი ღირებულებებით და ეს კიდევ ერთხელ შეგვახსენეს ელენე ხოშტარიამ და ირმა ნადირაშვილმა. ელენე ხოშტარია დიპლომით არის რუსეთის საერთაშორისო უსაფრთხოების სპეციალისტი. განათლება აქვს მოსკოვში მიღებული და ის ემსახურებოდა 9 წლის განმავლობაში სულითა და გულით რუსეთის საერთაშორისო უსაფრთხოების საქმეს უკვე საქართველოში და აგრძელებს ამ საქმეში ყოფნას მომდევნო 7 წლის განმავლობაში. ეს მათი ძალისხმევა იქნება წარუმატებელი, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

შეგახსენებთ, რომ საპარლამენტო ოპოზიციის დეპუტატებმა ელენე ხოშტარიამ და ირმა ნადირაშვილმა პარლამენტის სხდომათა დარბაზში საბჭოთა კავშირის ჰიმნი ჩართეს.

ოპოზიციის წარმომადგენლებმა ჰიმნი იმ დროს გააჟღერეს, როდესაც პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე ყოველწლიური ანგარიშის წარდგენისას რუსულ ოკუპაციაზე საუბრობდა.

## აშშ-ის საელჩო: „კელი დეგნანმა ოპოზიციის ლიდერებს გასაცნობად და საქართველოს პოლიტიკურ გარემოზე სასაუბროდ უმასპინძლა"

ელჩმა დეგნანმა ოპოზიციის ლიდერებს გასაცნობად და საქართველოს პოლიტიკურ გარემოზე სასაუბროდ უმასპინძლა. ამის შესახებ ამერიკის საელჩოს განცხადებაშია ნათქვამი, რომელსაც საელჩო სოციალურ ქსელ „ფეისბუქის" ოფიციალურ გვერდზე ავრცელებს.



როგორც განცხადებაშია ნათქვამი, ელჩმა დეგნანმა, კიდევ ერთხელ, ხაზი გაუსვა ყველა მხარის აქტიური მონაწილეობის მნიშვნელობას მიმდინარე პოლიტიკურ დიალოგსა და ფართო საარჩევნო რეფორმის პროცესში ეუთო/ოდირის რეკომენდაციების გათვალისწინებით.

– გუშინ, 18 თებერვალს, ელჩმა დეგნანმა ოპოზიციის ლიდერებს გასაცნობად და საქართველოს პოლიტიკურ გარემოზე სასაუბროდ უმასპინძლა. ელჩმა დეგნანმა, კიდევ ერთხელ, ხაზი გაუსვა ყველა მხარის აქტიური მონაწილეობის მნიშვნელობას მიმდინარე პოლიტიკურ დიალოგსა და ფართო საარჩევნო რეფორმის პროცესში ეუთო/ოდირის რეკომენდაციების გათვალისწინებით, – ნათქვამია აშშ-ის საელჩოს განცხადებაში.

## ეკა ბესელია: „ვის ეძახიან „ნაცმოძრაობას" ეს კომკავშირელი ბიჭები!"

ვის ეძახიან „ნაციონალურ მოძრაობას" ეს კომკავშირელი ბიჭები, ეს მათიკაშვილ-ოხანაშვილ-კილაძეები, რომლებმაც შეისისხლხორცეს „ნაციონალური მოძრაობა", როგორც სისტემა?! – ამის შესახებ დამოუკიდებელმა დეპუტატმა ეკა ბესელიამ „პალიტრანიუსის" გადაცემა „ნიუსრუმში" განაცხადა.

მისივე თქმით, ის „ქართული ოცნებიდან" მაშინ წავიდა, როცა ბიძინა ივანიშვილმა სამართლიანობის იდეას გადააბიჯა და სახელისუფლებო გუნდმა „ის მოსამართლეები შეისისხლხორცა, რომლებიც მთავარი დამნაშავეები იყვნენ ამ ქვეყანაში".

– მე პოლიტიკაში აღმოვჩნდი და ვარ ამ დრომდე, ჩემი ნების საწინააღმდეგოდ, ეს არ არის ჩემი არჩევანი, ეს არის ჩემთვის იძულება, იმიტომ, რომ ამ ქვეყანაში უნდა იყოს სამართლიანობა. მე ამ იდეის მწამს, სადაც არ უნდა ვიყო, უნდა ვიგრძნო, რომ სამართლიანია გარემო, მინდა ყველასთვის სამართლიანი იყოს თამაშის წესები. მე ვუთხარი ბიძინა ივანიშვილს, რომ თუ ხარ ამისთვის მზად, რომ ამას გავაკეთებთ, როცა სააკაშვილი შეიცვლება, არასდროს წავალ და ვიქნები ბოლომდე. წავედი მაშინ, როცა მანაც გადააბიჯა ამ იდეას და მითხრა, რომ თურმე, ამაზე თვალი უნდა დამეხუჭა. ეს არის მთავარი რასაც მანაც უღალატა და დღეს ვის ეძახიან „ნაციონალურ მოძრაობას" ეს კომკავშირელი ბიჭები? სულ ვგიჟდები ამაზე – ამას ჩვენ გვეუბნებიან ადამიანები, არავინ რომ არსად არ იყო, ეს მათიკაშვილ – ოხანაშვილ -კილაძეები, რომლებმაც შეისისხლხორცეს „ნაციონალური მოძრაობა" როგორც სისტემა. სისტემა გაითავისეს, თვითონაც ხომ მენტალურად ეგეთები არიან, არასდროს არაფერი აწუხებდათ, არაფერი გაუპროტესტებიათ, არავინ იცოდა, სად იყვნენ, რადგან ან კომფორტის ზონაში იყვნენ, ან იქ იყვნენ – იმათ ემსახურებოდნენ ქვედა რგოლებში. შეისისხლხორცეს მოსამართლეები, რომლებიც მთავარი დამნაშავეები იყვნენ ამ ქვეყანაში, ის სააკაშვილი, ადეიშვილი, მერაბიშვილი იმიტომ იყვნენ მომსახურების ზონიდან გასული და იმიტომ გააფრინეს და გადააბიჯეს კანონს, რომ მომთოკავი არ ჰყავდათ. მოსამართლე ეუბნებოდა, რომ რასაც აკეთებთ, სწორია, კანონიერია, უბრახუნებდა ჩაქუჩს და უკანონებდა, – განაცხადა ეკა ბესელიამ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „დავითგარეჯი უნდა დავიბრუნოთ“

## ნიკოლოზ მჟავანაძე დავითგარეჯის დაცვის კომიტეტს ქმნის

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველთა ასოციაციის თავმჯდომარე **ნიკოლოზ მჟავანაძე** პასუხობს.

***— ბატონო ნიკოლოზ, დავითგარეჯთან დაკავშირებით სიტუაცია გართულდაო, ბრძანებთ და საპროტესტო გამოსვლებს აანონსებთ. რატომ, რა ხდება?***

— ერთი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანმა დავითგარეჯის დიდი ნაწილის ოკუპაცია მოახდინა. ესენია ჩიჩხიტური, უდაბნო, აღდგომის ტაძრები. როდესაც ეს ყველაფერი ჩაგვიკეტეს, დავიწყეთ ბრძოლა, რომ ასე მოქცევა არ შეიძლებოდა და აზერბაიჯანს უნდა დაეხია უკან, სანამ საზღვრის საკითხი გადაწყდებოდა, მაგრამ გამოხტნენ „ქართული ოცნების“ ფანკლუბის წევრები და გვითხრეს, გაჩუმდით, აგერ, კომისია მუშაობს, რატომ ძაბავთ სიტუაციას, აზერბაიჯანელები ჩვენი მეგობრები არიანო. აქეთ საპატრიარქოს განცხადებაც იყო, ჯერ ნუ დაძაბავთ სიტუაციას, პროცესების ესკალაციას ნუ მოახდენთო.

***— გაჩერებამ უარესი შედეგი მოიტანა?***

— ამ გაჩერებამ ქნა ის, რომ ერთ წელიწადში აზერბაიჯანმა სამი ბაზა ააშენა დავითგარეჯთან, სამხედროები შეიყვანა, ბილიკები, მოსაცდელები გააკეთა.

***— მიისაკუთრეს ეს ტერიტორია, თვლიან, რომ მათია?***

— მიისაკუთრეს, აბა რა ქნეს. უვარგისი და უუნარო ხელისუფლება რომ გვყავს, ეს ყველაფერი ამის ბრალია. რუსეთიც ოკუპანტია და აზერბაიჯანიც!

***— რა სამუშაოებს აწარმოებს აზერბაიჯანული მხარე დავითგარეჯში?***

— გადაფხიკეს ჩვენი ფრესკები. სააკაშვილის დროს ჩვენი წმინდანები ამოიღეს ბერთუბნის ტაძრიდან, მერე არქეოლოგიური გათხრები ჩაატარეს და ქართველების დოქები, ქვევრები ხომ იყო ჩაფლული ამ ტერიტორიაზე, არც კი ჩაგვაყენეს საქმის კურსში, ამოიღეს და მუზეუმივით გააკეთეს. ამის დამადასტურებელი ყველა ფოტო მოვიპოვე. აფრიალებენ აზერბაიჯანულ დროშებს, ყოველ შაბათ-კვირას აჰყავთ სტუდენტები, სკოლის მოსწავლეები და ამ ჩვენს წმინდა ადგილზე აფრიალებენ ამ დროშებს.

***— რატომ არ ხდება რეაგირება?***

— ცირკი და სანახაობა აქვთ გამართული. გახარია ხომ იყო აზერბაიჯანში და ითქვა, რომ შედგა მოლაპარაკება და შეთანხმდნენ ალიევი და გახარია, რომ პირველ ეტაპზე სასულიერო პირები შევიდოდნენ ჩიჩხიტურში, უდაბნოსა და აღდგომის ტაძარში. ეს არ სრულდება! სასულიერო პირებსაც არ უშვებენ, გესმით?!

რანაირი მეგობარი სახელმწიფოა აზერბაიჯანი, ვერ გავიგე. მეჩეთში რომ არ შევუშვათ აზერბაიჯანელები, ომს ხომ დაგვიწყებენ?! რა უფლებით არ გვიშვებენ? ჯერ საზღვარი ხომ არ არის გაკეთებული და დადგენილი?! ჩვენი ხელისუფლების ასეთი სირაქლემის პოზაში ყოფნა არის დანაშაული!

***— საპატრიარქოს პოზიცია როგორია?***

— საპატრიარქომაც უნდა ამოიღოს ხმა. არაფერი ვთქვით იმაზე, რომ ჩვენი წმინდანები ამოთხარეს და სად წაიღეს, კაცმა არ იცის. არაფერი ვთქვით არც იმაზე, რომ ჩაგვიკეტეს ტაძრები, სალოცავები, იქ ბულდოზერები შეიყვანეს და გზები გაიყვანეს. იქ როგორ შეიძლებოდა გათხრების წარმოება.

ჩვენი დიდი სირცხვილია, რომ დავითგარეჯი არ არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი და იუნესკოს სიაში რატომ არ უნდა იყოს დავითგარეჯი! ეს ხომ მეორე იერუსალიმია?! ამ მთავრობას კი დავითგარეჯი ფეხებზე ჰკიდია. იქ ციცაბო კლდეებზე კორპუსებს ვერ ააშენებენ და ამიტომ არც აინტერესებთ.

***— პრეზიდენტ ზურაბიშვილის ვიზიტის შემდეგ გამწვავდა სიტუაციაო...***

— პრეზიდენტი მოღალატეა და დადგება დღე, სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო დავითგარეჯისთვის ციხეში დალპება. სალომე ზურაბიშვილმა ჭრილობა გახსნა. ჩავიდა იქ დიდის ამბით ნაპოლეონივით, ვიღაც ფრონცკ დედაკაცებთან ერთად, აკეთა იქ ბრტყელ-ბრტყელი განცხადებები, ამ ტაძრებს რესტავრაცია უნდა გავუკეთოთ და სამუშაოები დავიწყოთო.



„რუსეთიც ოკუპანტია და აზერბაიჯანიც“

ამის თქმა იყო და შეცვივდნენ იქ აზერბაიჯანელები, რის რესტავრაცია, რა რესტავრაცია, მთლიანად მათ დაიკავეს ეს ტერიტორია. ეს ქალბატონი კი იმის მერე გაყურსულია, ხმას აღარ იღებს. თუ ასე შესტკიოდა გული, ახლა ხმას რატომ აღარ იღებს?! ეს ქალი მიზანმიმართულად ეწევა ამ საქმიანობას. აზერბაიჯანელებისგან ან დიდი ფული აქვს აღებული, ან ეს არის ქვეყნის მოღალატე!

ახლახან გავიგე, რომ კომპანია სოკარს, ამ ოკუპანტი სახელმწიფოს წარმომადგენელს, გადასცეს საქართველოში არსებული ნავთობსადენის მილები. მე მაინტერესებს, ესენი საერთოდ ნორმალურები არიან?! ჩვენ თუ დავითგარეჯს არ დავიბრუნებთ, ჩათვალეთ, რომ მადლი გასულია ამ ქვეყნიდან. ამათთვის წმინდა არაფერი არსებობს. მოღალატე მამუკა არეშიძე!

***— მას რაღას ერჩით?***

— ჯერ ზვიადის დროიდან არის ხალხი მასზე გაბრაზებული, ახლა კიდევ გამოდის და აცხადებს, აზერბაიჯანელები ალბანურ ისტორიას აწვებიან, თითქოს ალბანელების წარმომავლები არიან და ისტორიას ქმნიან დავითგარეჯითო და ამ ფონზე ჩვენ ძალიან გაგვიჭირდება, რაღაც რომ შევინარჩუნოთო.

ვეღარ გავიგე, ეს ქართველი ექსპერტია თუ აზერბაიჯანელი?1 დავითგარეჯით აზერბაიჯანელებმა რატომ უნდა შეიქმნან ისტორია?! აზერბაიჯანელებს რას ვერჩით, როცა ჩვენივე მოქალაქეებს ალაპარაკებენ, რომ თურმე ისე არ არის ყველაფერი, როგორც ჩვენ გვგონია. ეს პრობლემა ძირძველია, კომუნისტებისა და შევარდნაძის დროიდანო. კი, პრობლემა ძველია, მაგრამ ქართველს იმის პრობლემა არასდროს ჰქონია, რომ დავითგარეჯი მოელოცა! უბრალოდ, საზღვრის დემარკაციაზე მიდიოდა სულ საუბარი და ეს იყო პრობლემა.

ჩვენ ვქმნით დავითგარეჯის დაცვის კომიტეტს, მე ვუხელმძღვანელებ ამას და ყველას მოვუწოდებ, დამიკავშირდნენ და იაქტიურონ. ჩვენ უახლოეს პერიოდში შევიკრიბებით და დავსახავთ სტრატეგიას დავითგარეჯის დაბრუნებისა საქართველოსთვის.

***— ხელისუფლების ნების გარეშე არის შესაძლებლობა რამის გაკეთების?***

— ის ხელისუფლება, ვინც დავითგარეჯს თმობს, ქვეყნის სათავეში ვერ იქნება! სირცხვილი შს სამინისტროს, როდესაც ჩუკაიძის დამჭერები დააჯილდოვეს. კაცი, რომელმაც ამდენი უსამართლობა ვეღარ აიტანა, ნერვები აეშალა და გადასვლა უნდოდა მეორე მხარეს. ან რატომ დგანან იქ ქართველი მესაზღვრეები, ეს არის საზღვარი?!

დავითგარეჯი გადაიყოლებთ ამათ! ათასი ნაძირლით არის სავსე ეს ხელისუფლება, სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებითა და იმპოტენტებით და მათ ყველა სიწმინდე ფეხებზე ჰკიდიათ!

ძარღვებში სისხლი რომ ჰქონდეთ და ქრისტიანები იყვნენ, სხვანაირად მოიქცეოდნენ!

# ზურაბ მელიქიშვილი: „ხელისუფლება ოპოზიციის ლიდერების დაკავებით ვერაფერს მიაღწევს“

## „ხალხს ყელში ამოუვიდა ივანიშვილის გუნდრუკის მკმეველები, რომლებიც მილიონებს ველარ ითვლიან“

იაგო ნაცვლიშვილი

გუშინ ოპოზიციამ პარლამენტის პიკეტირება მოახდინა და დეპუტატებს პარლამენტში შესვლა სირცხვილის დერეფანში გავლით მოუწიათ. იყო პოლიციასთან რამდენიმე დაპირისპირებაც. მაშინ კი, როცა პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე ყოველწლიური საქმიანობის მოხსენებას აცნობდა დეპუტატებსა და დიპლომატიურ კორპუსს, ოპოზიციის წევრები ელენე ხოშტარია და ირმა ნადირაშვილი დარბაზში შევიდნენ და სიმბოლურად საბჭოთა კავშირის ჰიმნი ჩართეს იმის საილუსტრაციოდ, რომ „ქართული ოცნება“ საბჭოთა კავშირს ჰგავს და ამიტომ იყო დარბაზში მხოლოდ ერთი პარტია.



პარალელურად ხელისუფლებამ ისევ თავების დათვლა დაიწყო. ირაკლი კობახიძემ თქვა, რომ თუ აქამდე 200 „ნაციონალი“ იდგა აქციაზე, ახლა 50 იყო. კალაძემ კი დააანონსა, რომ საარჩევნო მოდელზე პარტიებთან ცალ-ცალკე შეხვედრებს იწყებენ.

ამ საკითხებთან დაკავშირებით „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნაციონალური მოძრაობის წევრი **ზურაბ მელიქიშვილი** საუბრობს.

***— ვნახეთ ოპოზიციისა და მისი აქტივისტების აქცია და პერფორმანსი პარლამენტში, ასევე ვნახეთ „ოცნების“ გამოხმაურებაც. ირაკლი კობახიძემ ისევ თავების დათვლა დაიწყო და თქვა, თუ აქამდე 200 „ნაციონალი“ იდგა, ახლა 50 დგასო. რას ნიშნავს ეს თქვენთვის იმ ფონზე, როცა დიალოგისკენ დაბრუნებას გთავაზობენ? გამოწვევა გაგიკეთეს?***

— ეს არის ჩვეული მეთოდი იმისათვის, რომ შემორჩენილი მხარდამჭერები მაინც გაამხნევონ, თითქოს საქართველოში მათ საწინააღმდეგო განწყობა არ არის, მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, საზოგადოებაში რა განწყობაა. ამას ვხედავთ ჩვენ გარშემო ოჯახებსა თუ სამეზობლოში. ეს იციან თალაკვაძემაც და კობახიძემაც და თითოეულმა იმ სახელმა და გვარმა, რომელიც ივანიშვილის მითითებების უსიტყვო შემსრულებლები არიან. თუ ასეა და ამბობენ, რომ ასეთი მცირე რაოდენობა გვიჭერს ოპოზიციას მხარს, მაშინ რატომ ეშინიათ პროპორციული არჩევნების?! სწორედ იმიტომ ეშინიათ, რომ ძალიან კარგად იციან, სახელისუფლებო და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებით მათი მხარდაჭერა სულ რაღაც 13%-ია.

13%-იან ძალას უზურპირებული აქვს ხელისუფლება. აქედან გამომდინარე, ამის შენარჩუნება შეუძლებელია და ამას ვერავინ ვეღარ შეძლებს ვერც დიდი ფულით, ვერც დაშინებითა და ვერც ვერანაირი სხვა მცდელობით. აქედან გამომდინარე, ჩვენი პოზიცია არის თანმიმდევრული და მტკიცე და ყველამ კარგად იცის ერთი ჭეშმარიტება, რომ გამარჯვება გაივლის არჩევნებზე. ჩვენი სურვილია, ყველაფერი ეს მოხდეს უმტკივნეულოდ, რათა ძალიან სწრაფად გახდეს შესაძლებელი ქვეყნის მოქცევა სწორი მიმართულებისკენ და იმ რეგრესიდან, რომელსაც ამ რვა წლის განმავლობაში დაადგა ქვეყანა, გადავიდეთ პროგრესზე. ხედავთ, რომ ხალხი გარბის ქვეყნიდან.

თუ ვინმე მეტყვის, რომ თავისი ნებით ვინმე ჩამოვიდა საქართველოში და ეს მოხდა იმის გამო, რომ დაინახეს, საქართველო ვითარდება, მაშინ ჩემს სიტყვებს უკან წავიღებ, მაგრამ პირიქით ხდება. ხალხი ჩამოდის მხოლოდ და მხოლოდ დეპორტის გამო და ხდება ის, რომ კიდევ და კიდევ უფრო მეტი ადამიანია იძულებული, ქვეყანა დატოვოს, თავი გადაირჩინოს და ოჯახებიც გადაარჩინოს.

***— ხელისუფლების ნარატივია, რომ თუ ასეთი საპროტესტო მუხტია საზოგადოებაში, მაშინ რატომ არ გამოდის დიდი რაოდენობით ხალხი ქუჩაში. რა პასუხი გაქვთ ამასთან დაკავშირებით?***

— სიმართლე გითხრათ, მათი ეს პოზიცია სასარგებლოც არის, იქიდან გამომდინარე, რომ ისინი არათუ ვერ ხედავენ, არამედ არ უნდათ, დაინახონ რეალობა რა არის. ხალხს გადაწყვეტილება მიღებული აქვს. ისინი ამაზე პასუხს მიიღებენ ხალხის მხრიდან არჩევნებზე და ეს პასუხი იქნება ის, რომ ძალიან მალე ბიძინა ივანიშვილის რეჟიმი დამთავრდება საქართველოში. თავი რითიც უნდათ დაიწყნარონ, მექანიკური გადასვლებითა და გადმოსვლებით, ეს მათი ამოცანაა.

რეალობა ერთია, რა რაოდენობაც არ უნდა გამოვიდეს პროტესტის გამოსახატად, მათ უყენებენ ასეულობით პოლიციელს, უშიშროების წარმომადგენელსა და, ხშირ შემთხვევაში, ათასობითაც. ეს კეთდება იმისათვის, რომ ეს „პოპულარული“ მინისტრები და დეპუტატები თავიანთ სამუშაო ადგილზე შეიპარონ. თუ ასეთი „პოპულარულები“ არიან და თუ ასეთი ცოტა ხალხია პროტესტის გამოსახატად, რატომ იპარებიან სამუშაო ოთახებში?!

***— გუშინ სხვა შთაბეჭდილება შეიქმნა. მხედველობაში მაქვს ის, რომ გახარია დემონსტრაციულად მივიდა იქ, სადაც აქციის მონაწილეები იყვნენ და თქვა, რომ შოთაძე ღირსეული კანდიდატია.***

— დემონსტრაციულად ისმოდა ის შეძახილები, რომელსაც

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „ოცნებაც“ და ოპოზიციაც თავიანთი ამომრჩევლის შენარჩუნებას ცდილობენ“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***— ბატონო რამაზ, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, რომან კაკულია აცხადებს, ჩემი გადასაწყვეტი რომ იყოს, ხვალვე დავნიშნავდი არჩევნებსო. შეიძლება მართლაც განიხილებოდეს ვადამდელი არჩევნები „ოცნებაში“?***

— მღელვარების ჩაქრობის მოტივით, შეიძლება ბევრმა ისურვოს არჩევნების უფრო ადრე ჩატარება. ალბათ არჩევნებამდე ეს მუხტი შენარჩუნებული იქნება ოპოზიციის მხრიდან.

***— თალაკვაძის წლიური ანგარიშით გამოსვლა საბჭოთა ჰიმნის მოსმენის ფონზე მოუწია.***

— ოპოზიციის ეს მეთოდი, ჩემი აზრით, პროდუქტიული არ არის. ეს არ არის პოლიტიკური პროცესი. პოლიტიკური პროცესი უფრო სხვა რამეა, ვიდრე პერფორმანსია.

***— ოპოზიციის წევრები მოლაპარაკების მაგიდასთან ისხდნენ, მაგრამ უგულავას დაკავებამ ააყირავა ეს მაგიდა.***

— კი ბატონო, ისხდნენ და იყო მოლოდინი, რომ ოპოზიციის სტილი შეიცვლებოდა, მაგრამ შეიცვალა განა?! არის მოსაზრება, რომ ოპოზიციას უფრო აწყობდა ამ მაგიდის აყირავება.

***— რატომ?***

— თუნდაც იმიტომ, რომ დღეს ხელისუფლებას მთელი საერთაშორისო პარტნიორები ოპოზიციასთან დიალოგისკენ მოუწოდებენ და ოპოზიცია არ თანხმდება დიალოგს. დღეს ოპოზიცია ქუჩაშია და პოლიტიკურ პროცესზე უარს ამბობს. თუ თეატრალური ხერხებით აპირებენ მიზნის მიღწევას, მაშინ ეს ნაკლებად არის პოლიტიკა.

***— როგორც ჩანს, ოპოზიცია ამ სტილის შენარჩუნებას აპირებს და არც ხელისუფლება აპირებს საარჩევნო კანონის შეცვლას. როგორი შეიძლება იყოს ამ პროცესის ფინალი?***

— როგორც ჩანს, კანონმდებლობა დიდად არც ერთს არ აინტერესებს. ამას ვამბობ სწორედ ოპოზიციის სტილიდან გამომდინარე. ოპოზიციის ამ ბრძოლამ უფრო მანიფესტის სახე მიიღო, უფრო სანახაობრივი გახდა. მე მაინც მგონია, რომ ეს ყველაფერი მიმართულია იმისკენ, რომ მხარეებმა თავიანთი ელექტორატი შეინარჩუნონ.

***— რას გულისხმობთ?***

— მაგალითად, ოპოზიცია ახლა უკან ვერ დაიხევს. ვერ იტყვის, რომ ის უფრო დახვეწილი და უფრო მოქნილი გახდება. თუ სტილს შეცვლის, მაშინ ის თავის ამომრჩეველს დაკარგავს. ოპოზიცია ახლა თავისი ელექტორატის დაკვეთას ასრულებს. თუ ის ამ დაკვეთაზე უარს იტყვის, მაშინ ამ ელექტორატსაც დაკარგავს.

***— „ქართული ოცნებაც“ ასე იქცევა?***

— ამ შემთხვევაში „ქართული ოცნებაც“ ვერ შეცვლის სტილს, რადგან ის თავის ამომრჩეველს უფრთხილდება. თუნდაც უგულავას ამ დაკავებით ხელისუფლებამ აქცენტი სამართლიანობის აღდგენაზე გააკეთა, რის დაკვეთაც იყო.

***— მაგრამ ეს რამდენად იქნება სარწმუნო დასავლეთისთვის, ჩვენი პარტნიორებისთვის?***



— ახლა მთავარი აქცენტი არჩევნებზე კეთდება. ყველა ნაბიჯი, რომელსაც ხელისუფლება გადადგამს და რომელსაც ასევე ოპოზიცია გადადგამს, არჩევნებით იქნება ნაკარნახევი. მხარეები თავიანთი ელექტორატის შენარჩუნებას ცდილობენ.

# შოთა მალაშხია: „ივანიშვილმა რა სისტემაც არ უნდა ააშენოს, მაინც დავმარხავთ“

## „დაჭერების არავის ეშინია“

მარიამ მჭედლიშვილი

მიმდინარე პროცესებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერ **შოთა მალაშხიას.**

***– ნიშნავს თუ არა ირაკლი შოთაძის მობრუნება მთავარ პროკურორად სისხლის სამართლის გარკვეული გახმაურებული საქმეების გამოძიების დაჩქარებას? იურიდიული კომიტეტის სხდომაზე უმრავლესობის წევრებმა მას 20 ივნისის საქმეზე ჩვენებების შესწავლისკენ მოუწოდეს. მათი თქმით, ნიკა მელიას პარლამენტში შეჭრისკენ სააკაშვილმა მოუწოდა.***

– საქმეების გამოძიებაც დაჩქარდება და რეპრესიებიც მოსალოდნელია. ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ივანიშვილის ეს გადაწყვეტილებები განწირულის მოქმედებებია. წინა ინტერვიუშიც ვთქვი, რომ ივანიშვილი უარესს იზამდა. სწორედ ამ გზაზეა დამდგარი. მთავარია, რომ დაჭერების არავის ეშინია. ეს ყველაფერი ხალხს კიდევ უფრო მეტად აღიზიანებს. ხელისუფლების ნაბიჯებზე გარე და შიდა რეაქციები ერთნაირად ნეგატიურია. ივანიშვილი უპირისპირდება იმ პარტნიორებს, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ, რომ საქართველოს უკეთესი გეოპოლიტიკური მდგომარეობა ჰქონდეს.

***– წლევანდელი არჩევნები გეოპოლიტიკური დაპირისპირების ფონზე ჩაივლის?***

– ცხადია, რუსეთი საქართველოს თავს არ დაანებებს. ასეთი პრორუსული ხელისუფლება საქართველოს არ ჰყოლია. შევარდნაძეს ჰქონდა საკმარისი გადაცდომები, მაგრამ ისიც კი არ იყო რუსეთის მარიონეტი. დღევანდელი მკვდარი პოლიტიკური ფიგურა რუსეთს ძალიან ძვირი უჯდება. შემიძლია, კიდევ ერთხელ ვთქვა, რომ რუსი ოლიგარქი ივანიშვილი რუსეთს საქართველოს ხელისუფლებაში აღარ სჭირდება.

***– და სხვებზე დებს ფსონს?***

– რუსეთი „სტავკას“ სხვა ქართველ პოლიტიკოსებზე გააკეთებს.



***– ამ სიტუაციაში მრავალრიცხოვანი ოპოზიციური ერთობა სახიფათო არ ხდება? ლამის მთელი სპექტრი ერთადაა თავმოყრილი.***

– არა. მთავარია, თამაშის წესებზე შეთანხმება და მათი დაცვა. სიტყვაზე, თუ პარტიას აქვს 100 ხმა, ის პარლამენტში უნდა იყოს წარმოდგენილი ამ 100 ამით. არ უნდა იყოს ხმებით მანიპულაციები და გაყალბება. თუ რომელიმე პარტიას საბჭოთა კავშირის ნოსტალგია აქვს და რუსეთზე ოცნებობს, მას ექნება თავისი ადგილი. დარწმუნებული ვარ, ეს ადგილი პატარა იქნება. რუსეთუმეებს გული სწყდებათ საბჭოთა წარსულზე. არადა, ბევრი მათგანი იმ 37-მანეთიანი თვითმფრინავის ბილეთებით რუსეთში არ დადიოდა. მათ შვილებს რუსეთი არც პოლიტიკურად უნდათ, არც სამოგზაუროდ, არც სასწავლებლად და სამკურნალოდ. გაგიგიათ, ვინმე სასწავლებლად ან სამკურნალოდ რუსეთში მიდიოდეს?! რეტროგრადების რიცხვი საქართველოში კიდევ უფრო შემცირდება. კრემლის გავლენა საქართველოში ბუნებრივად შესუსტდება.

***– „ქართული ოცნების“ პოზიციებიც შესუსტდება?***

– რასაკვირველია. ივანიშვილმა ხალხს თავისი ტრიუკები რამდენიმეჯერ „აჭამა“. დღეს უკვე ყველამ, შინ და გარეთ, ყველაფერი იცის. საზოგადოება გამოფხიზლებულია.

***– შოთაძის პარლამენტის იურიდიულ კომიტეტში მოსმენისას ოპოზიციამ პერფორმანსი მოაწყო. ამან საზოგადოებაზე არასერიოზული შთაბეჭდილება მოახდინა. ანალიტიკოსმა ზაალ ანჯაფარიძემ კი ამ ღონისძიებას „მდედრი კლოუნების დღე“ უწოდა.***

– ეს წვრილმანია. ხან ასეთი ლოკალური საპროტესტო აქცია იქნება და ხან – მასშტაბური. შოთაძე, თადუმაძე, არაფორმალურად – ფარცხალაძე ამ მოქმედი სისტემის გამოვლინებები არიან. მთლიანობაში, ამ გვარებში არ არის საქმე. არჩევნების გზით შესაცვლელია ივანიშვილის ხელისუფლება. როცა ანალიტიკოსი ამ აპროტესტებს შოთაძეს, თადუმაძეს, ფარცხალაძეს და ყურადღება გადააქვს, კარგია თუ არა პარლამენტში მოწყობილი პერფორმანსი, ეს არაობიექტურობაა. ეს იგივეა, რომ ფუნაში იჯდე და ბუზებს იგერიებდე. ეტყობა, ასეთ ექსპერტებს მოსწონთ წუმპეში ყოფნა. ისინი ქვეყნის ფარგლებს გარეთ შექმნილ ატმოსფეროსაც ვერ ამჩნევენ.

***– პოლიტიკაში ბრუნდება მეოთხე პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი. რას იტყვით?***

– ესეც ადასტურებს ივანიშვილის კრახს. როცა ივანიშვილმა მარგველაშვილი პრეზიდენტად მოინდომა, გიორგი მარგველაშვილი საკუთარ თავს პლასტილინს ადარებდა. როცა ასეთი ტიპის კაციც კი მოისურვებს პოლიტიკაში დაბრუნებასა და თავისი ყოფილი პატრონის კრიტიკას, ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი მძიმე უნდა იყოს ივანიშვილის მდგომარეობა! ბევრს მოუნდა ტალახის ჩამორეცხვა და ივანიშვილისგან გამიჯვნა.

***– მარგველაშვილს ის მაინც ექნება სათქმელი, პრეზიდენტობისას ივანიშვილი და მისი გარემოცვა მებრძოდაო.***

– კი, უთანხმოება ჰქონდათ. მარგველაშვილი მაინც სხვანაირად უნდა მოქცეულიყო. ის ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი იყო. მას რაღაც შეეძლო და არ გააკეთა, მაგალითად, არ შეიწყალა შესაწყალებელი ხალხი მამა გიორგი მამალაძე და სხვები.

***– მესამე პრეზიდენტი სააკაშვილი მარტიდან შტაბს ქმნის და დისტანციურად გააქტიურდება.***

– სააკაშვილი პროცესებს დინამიზმს შესძენს. ჩვენ, ოპოზიცია, ვმოქმედებთ, მაგრამ ივანიშვილის დასამარცხებლად მეტი დინამიზმია საჭირო. რაც არ უნდა ილაპარაკონ, სააკაშვილმა უდიდესი წვლილი შეიტანა სახელმწიფოს მშენებლობაში. მის დროს შეიქმნა ჯარი, პოლიცია, საგადასახადო და სხვა.

„ოცნებამ“ ბევრი პროექტი გაუჩერა. ლაზიკა, ტექნოლოგიური უნივერსიტეტი და შემოვლითი რკინიგზა თბილისის გარშემო ქვეყანას ძალიან წაადგებოდა. ივანიშვილმა ბევრი რამ დაანგრია. ყველაზე საშინელია, რომ შეიძლება დაინგრეს სახელმწიფოებრიობა. სახელმწიფოებრიობის რღვევას მისი აღმშენებლობა უნდა დავუპირისპიროთ. ეს იდეა უნდა იყოს მთავარი. შოთაძე და უდიპლომო თადუმაძე პროკურატურასა და სასამართლოში ცუდია, მაგრამ ეს მთავარი არ არის. ჩვენ მუდმივად უნდა ვიზრუნოთ ტერიტორიულ მთლიანობაზეც. ივანიშვილის ხელისუფლებამ ქვეყნის საგარეო იმიჯიც გაანულა. არადა, უკრაინის პრობლემასთან ჩვენი პრობლემებით მიბმით შესაძლებელია საერთაშორისო ყურადღების მოპოვება. ჩვენ ეს თემა დღის წესრიგში გვაქვს დასაბრუნებელი. ივანიშვილს ვეუბნები – რა სისტემაც არ უნდა ააშენო, მაინც დავმარხავთ. სახელმწიფოებრიობის ნგრევას არ დავუშვებთ.

# თალაკვაძემ გომელაურსა და პოლიციელებს მადლობა გადაუხადა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძემ პარლამენტში წლიური მოხსენებით გამოსვლისას შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომელაურსა და პოლიციელებს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვისთვის მადლობა გადაუხადა.

– მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა პოლიციელს, ვინც ყოველდღიურად ემსახურება ამ რთულ პროფესიას და იცავს საზოგადოებრივ წესრიგს და უსაფრთხოებას. მინდა, მადლობა გადავუხადო შინაგან საქმეთა მინისტრს, ბატონ ვახტანგ გომელაურს, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

არჩილ თალაკვაძემ სიტყვით გამოსვლის დროს მიმართა და ასევე მადლობა პირადად გადაუხადა სხდომათა დარბაზში მყოფ, ბათუმში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაჭრილ პატრულ-ინსპექტორს – ოთარ თავართქილაძესა და მის მეწყვილეს – ავთანდილ მჟავანაძეს.

– აქ, ამ დარბაზში არიან საპატრულო პოლიციის ოფიცრები – ბატონი ოთარ თავართქილაძე და ბატონი ავთანდილ მჟავანაძე, რომლებიც 18 დეკემბერს ბათუმში მოქალაქემ გააჩერა. მოულოდნელად აღნიშნულმა პირმა პატრულ-ინსპექტორ თავართქილაძეს ცივი იარაღით მიაყენა ჭრილობა. დაჭრილი პოლიციელის მეწყვილემ, მიუხედავად იმისა, რომ თავადაც დაიჭრა, თავდამსხმელი შემთხვევის ადგილზე დააკავა. მძიმედ დაჭრილ პოლიციელს გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა. თანამშრომლების, მოქალაქეებისა და სამედიცინო პერსონალის დროული რეაგირების შედეგად, ოთარ თავართქილაძე გადავარჩინეთ და დღეს, მეწყვილესთან ერთად, ჩვენთან სტუმრადაა, – განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.



# ზურაბ მელიქიშვილი: „ხელისუფლება ოპოზიციის ლიდერების დაკავებით ვერაფერს მიაღწევს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

დღევანდელი ხელისუფლება იმსახურებდა, რაც გახარიას კომენტარს ფონად გასდევდა, ეგ არის მთავარი. გახარია რას იტყვის, ამას არ აქვს მნიშვნელობა, იმიტომ, რომ გახარიაც ივანიშვილის კანდიდატურაა და ის, რა თქმა უნდა, არ იტყოდა, რომ შოთაძე არ არის კანდიდატურა. მთავარი ის ფონია, რა ფონზეც უწევთ შეპარვა. ასეთი ადამიანები კი ურცხვად აცხადებენ, რომ თურმე საქართველოში პროტესტი არ არის.

***– ახალი მესიჯბოქსი გაჩნდა „ოცნებაში“ პრორუსულობის თემაზე. არგუმენტად მოჰყავთ, რომ ბურჯანაძესთან როგორ სხედან ერთ მაგიდასთან და ა.შ. ამაზე როგორია თქვენი პასუხი?***

– მთავარი აქ ის არის, რომ აუტანელმა რეჟიმმა და უსამართლობამ, რომელიც დღეს საქართველოშია ყველა მიმართულებით, ის მოიტანა, რომ აბსოლუტურად ყველა ერთ აზრზე ვართ, რომ შევთანხმდეთ, მოვიპოვოთ და დავუბრუნოთ ხალხს სამართლიანი არჩევნების პრინციპი. ის განწყობა უნდა იყოს შესაბამისად წარმოდგენილი საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში და ხელისუფლებაში, რომ თუ ვინმეს ჰყავს მხარდამჭერი, ეს იქნება ასახული არჩევნებზე და ამის მიხედვით იქნება ესა თუ ის პარტია წარმოდგენილი პარლამენტში. სამართლიანმა არჩევნებმა უნდა გადაწყვიტოს, ვის რამდენი მხარდამჭერი ჰყავს და ვის საით მიჰყავს ქვეყანა.

დღეს რიგ ქალაქებში ინფლაციის ახალი ტალღა იწყება და რიგ ქალაქებში პური გაძვირდა 10 თეთრით. მე პოლიციელებს სწორედ ამას ვეუბნებოდი აქციის მიმდინარეობისას, თქვენ კანონს კი არ იცავთ, არამედ იმას იცავთ, რომ პური ძვირდება 10 თეთრით-მეთქი.

***– კახა კალაძემ თქვა, რომ საარჩევნო მოდელზე ოპოზიციურ პარტიებთან ცალ-ცალკე დაიწყებენ მოლაპარაკებებს. ხომ არ არის მცდელობა, რომ გაგთიშონ ერთიანი ოპოზიცია?***

– კიდევ ერთხელ უნდა გავუსვა ხაზი, ხელისუფლებას იმიტომ მოუწევს უკანდახევა, რომ ჩვენ ვიცით, მათ ეს მოუწევთ. რაც უფრო განახორციელებენ უკანდახევის გზას, მით უკეთესი იქნება მათთვის, თორემ ხალხს გადაწყვეტილება მიღებული აქვს.

ისინი შეფასებებისას ვიღაცას ოპოზიციას ეძახიან, ვიღაცას – რადიკალებს, მაგრამ არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, ვის როგორ მოიხსენიებენ, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია ის, რომ ისინი იძულებული იქნებიან, უკან დაიხიონ. მათი შემოთავაზება 100/50-ზე იყო მათი გადარჩენის გეგმა, რომ რაღაცნაირად მაჟორიტარების ხარჯზე მოპოვებული ხმებით შეინარჩუნონ ხელისუფლება, მაგრამ ეს გამორიცხულია. საქართველოში აუცილებლად იქნება ის სისტემა, რომელიც ნდობას მოუპოვებს ნებისმიერ ხელისუფალს. აქ საუბარი არ არის იმაზე, რომ ვიღაცას ან ხელისუფლებაში მოსვლა უნდა, ან დაბრუნება. აქ საუბარია იმაზე, რომ ხელისუფლება უნდა დაუბრუნო ხალხს და ხალხმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.

ხელისუფლებამ სხვა გზა აირჩია. ისინი აკავებენ ოპოზიციის ლიდერებს და ცდილობენ, ხალხს დაანახონ, როგორ პასუხობენ საწინააღმდეგო აზრს, რომ დააშინონ, მაგრამ ვერ აცნობიერებენ ერთ რაღაცას, რომ საქართველოს მოსახლეობამ არაერთხელ დაადასტურა, ის არის თვითორგანიზებული და, როდესაც განწყობის შესაბამის ნაბიჯს დგამ, იქ ვერავინ შეეწინააღმდეგება. ვერც ოპოზიციის ლიდერების დაპატიმრებით და ვერც ამა თუ იმ აქტივისტის დაკავებით ვერ მიაღწევენ მიზანს. ამ ქვეყნის მოსახლეობამ არაერთხელ დაადასტურა პოლიტიკოსების მოწოდებების გარეშე, რომ თვითორგანიზება შეუძლიათ. ხელისუფლებას თუ ვინმესი უნდა ეშინოდეს, ეს არის თვითორგანიზებული ხალხი, რომელსაც ყელში ამოუვიდა ბიძინა ივანიშვილი და მისი გუნდრუკის მკმეველები, რომლებიც მილიონერები გახდნენ და თავის ქონებას ვეღარც ითვლიან.

# გიორგი კეკელიძე: „ჩვენ მომავალშიც დავმარცხდებით, თუ ბიჭებს არ ვასწავლეთ, რომ გოგონები ნივთები არ არიან“

სამტრედიაში განქორწინების დროს ქმარმა ცოლს ყელი გამოსჭრა. ამ ფაქტს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე ეხმაურება. ის იმ გამოწვევებზე საუბრობს, რომლებიც მომავალი თაობის აღზრდის დროს გვაქვს. გიორგი კეკელიძე ხაზს უსვამს იმას, რომ ბიჭებს აღზრდის დროს უნდა ვასწავლოთ, გოგონები ნივთები არ არიან, როცა უნდათ, მოეფერონ, როცა უნდათ – გატეხონ.

– ერთი დღით ადრე, სანამ ახალგაზრდა ქალს ქმარი თუ ქმარყოფილი ყელს გამოსჭრიდა, იმ სოფლის სკოლაში წიგნები ჩავიტანეთ.

ახლა ვფიქრობდი, რომ ის გოგონაც ალბათ იმ სკოლაში სწავლობდა და, შესაძლოა, ის კაციც. და ორივეს ოდესღაც ისეთივე ანთებული თვალები ჰქონდა და ეს თვალები სულ სხვა მომავალს ეძებდნენ. სულ სხვას, ვიდრე ახლა ჩამოდგა. და მივხვდი, რომ ხვალინდელი დღეც ასეთი იქნება. ზუსტად ასეთი. განა მარტო იმ სოფელში. ყველგან. შევეშვათ ეთნოსებისკენ ცალი ხელის გაშვერასა და ცალით საკუთარი უსინდისობის და უმაქნისობის



ჩუმად მოწმენდას. ფემიციდი მხოლოდ მკვლელობა არ არის. ეს ქალების განდევნის ხელობაა. ყოველდღე და ყველგან.

კვირაში ორ სოფელს მაინც ვსტუმრობთ. როცა წიგნებს ვარიგებთ, უმეტესად მასწავლებლები პატარა ბიჭებს გამოუშვებენ ხოლმე წიგნებისკენ და გოგონები მორცხვად, შორს დგანან. არადა, ორ-ორ წიგნს ვურიგებთ თითოს სიმბოლურად, განა რამე მძიმესა და შეუძლებელს.

იქაც ვამბობ და აქაც ვიტყვი: ყველაფერი ასეთი მცირე, შეუმჩნეველი ამბებით იწყება და ჩვენ მომავალშიც გუშინდელივით დავმარცხდებით, თუ არ მივხვდით და

თუ გოგონებს არ ვასწავლეთ, რომ წიგნებისკენ ისინიც ბიჭებთან ერთად უნდა გამოიქცნენ!

თუ ბიჭებს არ ვასწავლეთ, რომ სირცხვილი არ არის, თუ გოგონები წიგნებისკენ ბიჭებთან ერთად მორბიან!

თუ გოგონებს არ ვასწავლეთ, რომ ისინი თავისუფლები, ლაღები უნდა იყვნენ, მხოლოდ საკუთარი თავის საკუთრება, მხოლოდ საკუთარი ფიქრის მძევალი.

თუ ბიჭებს არ ვასწავლეთ, რომ გოგონები ნივთები არ არიან, როცა გინდა, მოეფერო და როცა გინდა – გატეხო.

თუ არ ვასწავლეთ აქ და ახლა. თუ არ ვასწავლეთ და არ ვისწავლეთ. ჩვენც და თქვენც! – წერს გიორგი კეკელიძე.

# გუდაურში მკვლელობისთვის დაკავებული მერაბ კობიაშვილი სასტიკადაა ნაცემი

## რა მოხდა გუდაურის ღამის ბარში 2 კვირის წინ

გუდაურში მომხდარი მკვლელობის საქმეზე ინტერპრესნიუსისთვის ახალი დეტალები გახდა ცნობილი.

როგორც სააგენტოსთან საუბარში ინფორმირებული წყარო ჰყვება, მკვლელობასა და მკვლელობის მცდელობაში ბრალდებული სამხედრო პირი, მერაბ კობიაშვილი, ტაქსის მძღოლად მუშაობდა და ტურისტებს ემსახურებოდა. წყაროს ცნობითვე, მკვლელობამდე 2 კვირით ადრე, ინციდენტში მონაწილე პირებისა და გარდაცვლილის მხრიდან ბელარუს ტურისტებთან ფიზიკურ დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი, რომლის დროსაც ტურისტებს სასტიკად სცემეს.

– როგორც ვიცი, ინციდენტში მონაწილე პირებმა ბელარუს ტურისტებს ბარში არარეალური თანხა გადაახდევინეს, რასაც მოჰყვა დაპირისპირება. თავის მხრივ, კობიაშვილმა მომხდარის გამო უსაყვედურა გარდაცვლილსა და მის მეგობრებს, რაზეც ისინი განაწყენდნენ და კობიაშვილს დაემუქრნენ. ორი კვირის მერე კობიაშვილმა, სავარაუდოდ, იგივე ბარში უკვე ფრანგი ტურისტები მიიყვანა, მის გამოჩენას კი აღნიშნული პირების მხრიდან აგრესიული დამოკიდებულება მოჰყვა – ისინი კობიაშვილს ფიზიკურად გაუსწორდნენ, – აცხადებს ინფორმირებული წყარო.

როგორც წყარო ჰყვება, ბრალდებულმა ცეცხლსასროლი ჭრილობა თავისივე იარაღიდან მიიღო, რის შემდეგაც ინციდენტში მონაწილე პირებმა ის წააქციეს და ძირს დაგდებულს სცემეს.

გუდაურში მომხდარ მკვლელობაზე კომენტარი საქმის პროკურორმა დავით ყაზარაშვილმა გააკეთა.

– გუდაურში მომხდარი მკვლელობის მოტივი შურისძიებაა, – განაცხადა მან.

მისი თქმით, გამოძიება მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით სხვადასხვა მიმართულებით მუშაობს.

– მინდა დაზარალებულის, გარდაცვლილის ოჯახს მივუსამძიმრო. ბრალდების მხარე მერაბ კობიაშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას ითხოვდა. ჩვენ როგორც ფაქტობრივი, ასევე ფორმალური საფუძვლები დასაბუთებული გვქონდა. რაც შეეხება უშუალოდ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფორმალურ საფუძვლებს, იყო მიმალვის საფრთხეები, მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხეები და იქიდან გამომდინარე, რომ მხარეები შერიგებულები არ არიან, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება მიზანშეწონილი იყო, – განაცხადა ყაზარაშვილმა.

კითხვაზე, ჰყავს თუ არა გამოძიებას ის პირები დადგენილი, რომლებმაც ბრალდებულს



სხეულზე დაზიანებები მიაყენა, ყაზარაშვილი პასუხობს, რომ მათი ნაწილი დადგენილია.

პროკურორი პირობას დებს, რომ გამოძიება ობიექტურად წარიმართება. რაც შეეხება იმ ფაქტს, მოხდება თუ არა იმ პირების პასუხისგებაში მიცემა, რომლებმაც დაკავებულს დაზიანებები მიაყენეს, ყაზარაშვილი პასუხობს, რომ ამას საქმის მასალების შესწავლის შემდეგ გადაწყვეტენ.

– მოტივი არის შურისძიება. საქმის მასალებითაც ირკვევა, რომ ბრალდებულს ფიზიკურად გაუსწორდნენ, ამ კუთხით გამოძიება მიმდინარეობს და გრძელდება.

შურისძიების მოტივით ეს ადამიანი უკვე გასროლას ახორციელებს იმ პირების მიმართ, ვინც მის მიმართ კონფლიქტში მონაწილეობდა. ნაწილი დადგენილია, თუმცა, გამოძიება გრძელდება და მიმდინარეობს როგორც ამ პირების დადგენა, ასევე სხვადასხვა გარემოებებზე გამოძიება.

ბრალდებულს ბრალდება შეერაცხა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში და ერთ-ერთი დანაშაულისთვის გათვალისწინებულია უვადო თავისუფლების აღკვეთა. მას სამსახურებრივი მიმოსვლის გარდა, რომელსაც ჩვენს დასაბუთებაში არც შევეხებივართ, გერმანიის და ასევე სხვა სახელმწიფოების მიმართულებით ჰქონდა საზღვრის კვეთა და იქ იმყოფებოდა გარკვეული პერიოდი. ამ ადამიანს ნათესაური კავშირები გააჩნია, რაც თვითონაც დაადასტურა, – განაცხადა ყაზარაშვილმა.

17 თებერვალს გუდაურში ერთი ახალგაზრდა მამაკაცი მოკლეს, ერთი კი დაჭრეს. გუდაურში მომხდარი მკვლელობის საქმეზე ყოფილი სამხედრო, მერაბ კობიაშვილია დაკავებული, რომელსაც მცხეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

პროცესი, ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, საავადმყოფოში, „ჯეო ჰოსპიტალსში“ ჩატარდა.

# სამტრედიაში განქორწინებისთვის მისულ სალომე ბოხუას რეესტრში ქმარმა ყელი გამოსჭრა

## დაკავებულია გ.ა.

გუშინ, 17 თებერვალს, სამტრედიაში მკვლელობა მოხდა.

განქორწინების მიზნით სამოქალაქო რეესტრის შენობაში მისული სალომე ბოხუა, სავარაუდოდ, მისმა მეუღლემ მოკლა.

სალომე ბოხუას მამა თემურ ბოხუა ამბობს, რომ მან შვილი იუსტიციის სახლში მიიყვანა და ვიდრე თავადაც შევიდოდა, ყოფილი სიძე მის შვილს თავს დაესხა. შენობაში შესულს კი მისი შვილი გარდაცვლილი დახვდა.

ოჯახის ინფორმაციით, ცოლ-ქმარს კონფლიქტი ჰქონდა, რის გამოც განქორწინება გადაწყვიტეს.

მოკლული ქალის მამა ჰყვება, რომ ცოლ-ქმარი შეთანხმებული იყო, რომ განქორწინების საბუთებზე ხელმოწერა სკაიპის საშუალებით მოხდებოდა.

– განქორწინების მიზნით წავიდა იუსტიციის სახლში, ყოფილი ქმარი ბათუმში უნდა მისულიყო და ორივე მოაწერდა ხელს, ჩვენ ასე ვიცოდით. წავიყვანე მანქანით, ვიდრე მე მანქანას დავაყენებდი, სალომე შევიდა და ამ დროს




თავს დასხმია. დანა დაარტყა.

მე რომ შევედი, ძირს ეგდო და მკვლელი დაკავებული ჰყავდათ. ერთი ჭრილობა დავინახე. კონფლიქტი ჰქონდათ და ამიტომ შორდებოდნენ. ათი წლის ცოლ-ქმარი იყო, ჩვენთან ცხოვრობდნენ გარკვეული პერიოდი, მერე ბათუმში იყვნენ, – განაცხადა თემურ ბოხუამ.

მოგვიანებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ მკვლელობასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის სამტრედიის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1992 წელს დაბადებული გ.ა. სამტრედიაში, ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 13-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სამტრედიის ფილიალის მოქალაქეთა მომსახურების დარბაზში, განქორწინების პროცედურის დაწყებამდე, ცოლს – 1994 წელს დაბადებულ ს.ბ.-ს ცივი იარაღით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა. დაჭრილი ქალი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა გ.ა. მომხდარიდან მალევე, ცხელ კვალზე, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სამტრედიის ფილიალის მოქალაქეთა მომსახურების დარბაზშივე დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა შემთხვევის ადგილიდან ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 11 პრიმა 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს“ – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

# ზუგდიდში ლომბარდის ძარცვის მცდელობის ფაქტზე რამდენიმე პირი დააკავეს

ზუგდიდის ცენტრში მდებარე ერთ-ერთი ლომბარდის გაძარცვის მცდელობისთვის რამდენიმე პირი დააკავეს.

არსებული ინფორმაციით ისინი, მობილური ტელეფონების წაღებას ცდილობდნენ.

როგორ „ინტერპრესნიუსს“ შს სამინისტროში განუცხადეს, ფაქტზე გამოძიება 19-178-ე მუხლის მესამე ნაწილის ა ქვეპუნქტით დაიწყო, რაც ძარცვას გულისხმობს, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**

# მურად წურწუმიას საქმეზე დაკავებულები კვლავ პატიმრობაში რჩებიან

ვარკეთილში, ე.წ. დამპალოს სასაფლაოზე მომხდარი დაპირისპირების შედეგად გარდაცვლილი მურად წურწუმიას საქმეზე დაკავებულები, ვახტანგ ბურძენიძე და ზურაბ ფოფხაძე კვლავ პატიმრობაში რჩებიან.



გუშინ, 17 თებერვალს, სასამართლო პროცესზე დაკავებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა გადაისინჯა და, მოსამართლე არსენ კალატოზიშვილის გადაწყვეტილებით, ის ძალაში დარჩა.

საქმის პროკურორ დავით გუმბერიძის განცხადებით, დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე, აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა ორივე დაკავებულის შემთხვევაში ძალაში უნდა დარჩენილიყო. პროკურორის თქმითვე, საქმეზე რაიმე ახალი გარემოება არ გამოკვეთილა, რაც დაკავებულების მიმართ შეფარდებულ პატიმრობას შეცვლიდა. ბრალდებულებს ბრალი სსკ-ის 143-ე მუხლითაც წარედგინათ, რითაც ბრალდება დაუმძიმდათ, შესაბამისად, მძიმე დანაშაულისთვის დაკავებულებს აღკვეთის ღონისძიება არ უნდა შეცვლოდათ.

დაცვის მხარის განცხადებით, ბრალდების მხარის პოზიცია დაუსაბუთებელია.

როგორც ადვოკატები აღნიშნავენ, დაკავებულები გამოძიებასთან თანამშრომლობენ და მიმალვის საფუძველი არ არსებობს. ადვოკატები ბრალდებულების გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებას ითხოვდნენ.

სასამართლო პროცესს არ დასწრებია ბრალდებული ვახტანგ ბურძენიძე.

ვახტანგ ბურძენიძესა და ზურაბ ფოფხაძეს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მეექვსე ნაწილით და სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის აქვთ წარდგენილი.

დაკავებულებს ასევე ბრალი წარდგენილი აქვთ სსკ-ის 143-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს თავისუფლების უკანონო აღკვეთას სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით.

2020 წლის 2 იანვარს, ღამის საათებში, მუხრან ჩხვირკია და მურად წურწუმია ვარკეთილის მე-3 მასივში, ე.წ. დამპალოს სასაფლაოს ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ, სადაც ასევე იმყოფებოდნენ ბრალდებულები, შსს-ს თანამშრომელი ზურაბ ფოფხაძე და მისი თანმხლები ვახტანგ ბურძენიძე.

გამოძიების ინფორმაციით, მათ შორის ურთიერთშელაპარაკება დაიწყო ბრალდებულ ზურაბ ფოფხაძის საკუთრებაში არსებული ავტომანქანის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების ნიადაგზე.

გამოძიების თანახმად, ბრალდებული ზურაბ ფოფხაძე ვახტანგ ბურძენიძესთან ერთად შეეცადა წურწუმიას და ჩხვირკიას შეჩერებას. გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, კონფლიქტში მონაწილეთა შორის ფიზიკური დაპირისპირება გაგრძელდა რამდენიმე წუთის განმავლობაში, რომლის დროსაც ზურაბ ფოფხაძემ ვახტანგ ბურძენიძესთან ერთად ჯგუფურად, მურად წურწუმიას მიაყენა სიცოცხლისთვის სახიფათო სხეულის დაზიანებები, რამაც ამ უკანასკნელის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, ხოლო მუხრან ჩხვირკვიამ ბრალდებულების მხრიდან ჯგუფურად განხორციელებული ცემის შედეგად განიცადა ფიზიკური ტკივილი.

# ტაქსის მძღოლი მოკლა, ცხედარი მანქანაში ჩასვა და მანქანა დაწვა

## პოლიციამ ნ.ხ. დააკავა

„ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ ყარაჯალარში დამწვარ მანქანაში დამწვარი პირი იპოვეს.

გუშინ, 17 თებერვალს, მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1997 წელს დაბადებული, წარსულში ძარცვისთვის ნასამართლევი ნ.ხ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 17 თებერვალს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალარის მიმდებარე ტერიტორიაზე, ტაქსის მძღოლს – 1956 წელს დაბადებულ დ.შ.-ს სხეულზე სასიკვდილო დაზიანებები მიაყენა, შემდეგ კი ცხედარი მოკლულის ავტომობილში მოათავსა, კვალის დაფარვის მიზნით ავტომანქანას ცეცხლი წაუკიდა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა ბრალდებული მომ-



ხდარიდან მალევე დააკავეს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით მიმდინარეობს. დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“ – ნათქვამია შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

# ბარათაშვილის ხიდზე მანქანა ამოტრიალდა

## დაშავდა მძღოლი

გუშინ, 17 თებერვალს, ბარათაშვილის ხიდზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. მსუბუქი ავტომობილი ბორდიურზე შევარდა და ამოტრიალდა. ავტოსაგზაო შემთხვევაში მეორე მანქანა არ ფიგურირებს.

შემთხვევის შედეგად ავტომანქანის მძღოლმა მსუბუქი დაზიანებები მიიღო და საავადმყოფოშია გადაყვანილი.

აღნიშნული ინფორმაცია „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში დაუდასტურეს. უწყების ცნობით, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია.

# ჰააგის სააპელაციო სასამართლომ „იუკოსის“ საქმეზე რუსეთს 50 მილიარდი დოლარის გადახდა დააკისრა

ჰააგის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, რუსეთის ფედერაციას კომპანია „იუკოსის“ ყოფილი აქციონერების სასარგებლოდ 50 მილიარდი დოლარის გადახდა დაეკისრა. სასამართლომ განაჩენი „იუკოსთან“ დაკავშირებული სამი კომპანიის სასარგებლოდ გამოიტანა, ესენია: „იუკოს უნივერსალი“, „ჰალი ენტერპრაიზი“ და „ვეტერან პეტროლიუმი“.

სამივე კომპანიამ დაკარგა თანხა, როდესაც „იუკოსი“ გაკოტრდა.

საერთაშორისო არბიტრაჟის ისტორიაში ეს ყველაზე მსხვილი კომპენსაციაა. ამგვარად, გაუქმდა 2016 წელს საოლქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელმაც რუსეთს ამ თანხის გადახდის ვალდებულება მოუხსნა.

ჰააგის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2016 წლის გადაწყვეტილება „არ იყო სწორი, რაც ნიშნავს იმას, რომ საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება კვლავ ძალაშია“.

შეგახსენებთ, უმსხვილესი ნავთობკომპა-



ნია „იუკოსის“ ხელმძღვანელი მიხეილ ხოდორკოვსკი ფინანსური მაქინაციების ბრალდებით 2003 წელს დააპატიმრეს, კომპანიას კი რუსეთის ხელისუფლებამ შეუსაბამოდ მაღალი გადასახადები დააკისრა, რის გამოც კომპანია გაკოტრდა, მასზე კონტროლი კი ხელისუფლებამ მოიპოვა. 2005 წელს ხოდორკოვსკი რუსეთის სასამართლომ ყველა წარდგენილ ბრალში დამნაშავედ ცნო. მოგვიანებით, ხოდორკოვსკი პრეზიდენტის შეწყალების საფუძველზე გაათავისუფლეს. 2014 წელს კი ჰააგის საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით, რუსეთის ფედერაციას „იუკოსის“ ყოფილი მფლობელებისთვის 50 მილიარდი დოლარის გადახდა დაეკისრა, თუმცა რუსეთმა ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა. 2016 წელს ჰააგის საოლქო სასამართლომ საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა. საქმეზე ბოლოს, ჰააგის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილებით, რუსეთს „იუკოსის“ სასარგებლოდ 50 მილიარდის გადახდა კვლავ დაეკისრა.

რუსეთს შეუძლია გადაწყვეტილება ნიდერლანდების უმაღლეს სასამართლოში გაასაჩივროს. რუსეთის ხელისუფლებამ უკვე განაცხადა, რომ ამ გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს. რუსეთის იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ სააპელაციო სასამართლომ მოახდინა „იმ ფაქტის იგნორირება, რომ „იუკოსის“ ყოფილი აქციონერები არაკეთილსინდისიერი ინვესტორები იყვნენ“.

# დონბასში უკრაინის პოზიციებს თავს დაესხნენ



გუშინ, 17 თებერვალს, რუსეთის მიერ მხარდაჭერილმა სამხედრო დაჯგუფებებმა უკრაინულ პოზიციებზე ინტენსიური თავდასხმები განახორციელეს. სეპარატისტები ცდილობდნენ არსებული გამყოფი ზოლი გაერღვიათ.

თავდასხმების შედეგად 1 უკრაინელი სამხედრო დაიღუპა და 4 დაშავდა.

ინფორმაციას გაერთიანებული ძალების შტაბი ავრცელებს.

უკრაინულ მხარეს პოზიციები არ დაუკარგავს, ხოლო საბრძოლო მოქმედებები ამ დროისთვის შეწყვეტილია.

— ბრძოლები ნოვოტოშივსკის, ორიხლოვის, კრინსკის და ჰუტირ ვილნის ტერიტორიებზე ამ დროისთვის შეწყვეტილია. გაერთიანებული ძალების დანაყოფებმა ადეკვატური პასუხი მიაგეს მტერს და ინარჩუნებენ სრულ კონტროლს არსებულ ვითარებაზე. სამწუხაროდ, დაღუპულია ერთი უკრაინელი ჯარისკაცი, ხოლო 4 სამხედროს მცირე დაზიანებები აქვს მიღებული. მტრის მხარეს დაღუპულია 1 პირი და მძიმედ არის დაშავებული 5, — აცხადებენ შტაბში.

ამასთან, განცხადება გაკეთდა ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროშიც. უწყება საერთაშორისო საზოგადოებას რუსეთის მიერ მხარდაჭერილი ძალების აგრესიის დაგმობისკენ მოუწოდებს.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*



# პრინც ჰარისა და მეგან მარკლის ურთიერთდამოკიდებულება შეიცვალა

დამოკიდებულება პრინც ჰარისა და მეგან მარკლს შორის მათ მიერ სამეფო ოჯახის დატოვების შემდეგ შეიცვალა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა წყვილთან დაახლოვებულ პირზე დაყრდნობით ავრცელებს. მისი თქმით, ამ დროისთვის მათი ურთიერთობა უფრო მყარი გახდა.

— ისინი უზომოდ არიან ერთმანეთზე შეყვარებულები და ერთმანეთი ძალიან სჭირდებათ, — განაცხადა ინფორმაციის წყარომ, რომელიც წყვილის ახლო მეგობარია.

გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ ორივესთვის მთავარ პრიორიტეტს ოჯახური ბედნიერება და მათი ცხრა თვის შვილი არჩი წარმოადგენს.

— ის ბედნიერი ბავშვია, სულ იცინის. არჩი და ჰარი ერთად თავს შესანიშნავად გრძნობენ, მეგანი კი შესანიშნავი დედაა. ის მასზე ძალიან ზრუნავს, — განაცხადა ოჯახის მეგობარმა.

# კეიტ მიდლტონი შვილების წინაშე თავს დამნაშავედ გრძნობს

ბრიტანეთის პრინც უილიამის მეუღლემ, კემბრიჯის ჰერცოგინია კეიტ მიდლტონმა შვილების მიმართ საკუთარ დანაშაულსა და თვითჰიპნოზზე ისაუბრა, რომელსაც ის მშობიარობის წინ მიმართავდა.

ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში მიდლტონმა აღიარა, რომ იმ დროს გრძნობს თავს დამნაშავედ, როდესაც სამეფო ოჯახის წევრის მოვალეობების გამო იძულებული ხდება, ბავშვები ძიძას დაუტოვოს.

— ნებისმიერი დედა, რომელიც ამბობს, რომ ასეთ დროს თავს დამნაშავედ არ გრძნობს, იტყუება, — განაცხადა კემბრიჯის ჰერცოგინიამ.

კეიტ მიდლტონმა ასევე აღიარა, რომ მისი ფეხმძიმობა ძლიერი პირღებინების თანხლებით მიმდინარეობდა.

— მართალია ბევრი ასეთ დროს უფრო უარეს დღეშიც ვარდება, მაგრამ ჩემ შემთხვევაში ეს არც ისე ადვილი იყო, — განაცხადა მან, — და არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ ჩემთვის საყვარელი ადამიანებისთვისაც.

უსიამოვნო შეგრძნებებს რომ გამკლავებოდა, მიდლტონმა ე.წ. „ჰიპნომშობიარობის“ მეთოდს მიმართა. ის თვითჰიპნოზს და მედიტაციას გულისხმობს, რაშიც ქალს მისი მეუღლე ეხმარება. კემბრიჯის ჰერცოგინიას მტკიცებით, მედიტაცია და კონტროლირებადი ღრმა ჩასუნთქვები მას მართლაც ეხმარებოდა.



# ყველაზე საიმედო ავტომობილის ბრენდი დასახელდა

კორეული პრემიუმკლასის ავტომობილის ბრენდი Genesis მსოფლიოში ყველაზე საიმედოდ აღიარეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტო ავრცელებს.

მსოფლიოს მარკეტინგულ-საინფორმაციო სერვისმა J.D.Power-მა კომპანია ავტომობილების საიმედოობის რეიტინგის ორი ჯილდოთი აღნიშნა. ამრიგად, Genesis-მა პირველი ადგილი დაიკავა საერთო ჩათვლაში, ხოლო მოდელი G80 საუკეთესოდ დასახელდა პრემიუმკლასის საშუალოძრავიანი ავტომობილების სეგმენტში.

— ეს ჯილდოები, რომლებიც Genesis-ის ოფიციალური გაყიდვების დაწყებიდან რამდენიმე წლის შემდეგ იქნა მიღებული, მეტყველებს ჩვენს სწრაფვაზე, გავხდეთ წამყვანი ავტომწარმოებელი, რომელიც საიმედოობის უმაღლეს დონეს უზრუნველყოფს, — განაცხადა Genesis Motor North America-ს აღმასრულებელმა დირექტორმა მარკ დელ როსომ.

J.D.Power-ის ყოველწლიური გამოკვლევა ავტომწარმოებლებსა და მათ პროდუქციას აფასებდა ყოველ ას ეგზემპლარზე წარმოქმნილი პრობლემების კოეფიციენტით. ბრენდი და მოდელი უწესრიგობების ყველაზე დაბალი დონით შესაბამის ადგილებს იღებდნენ თავიანთ კატეგორიებში.

კორეული ბრენდის პირადმა კოეფიციენტმა 89 ქულა შეადგინა. ეს შედეგი მთელი ავტოინდუსტრიის საშუალო მაჩვენებელს 34 პროცენტით აღემატება.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*




## მალამო „მენტორი პირველი“

ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება — მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რევმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.

## მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ბუნებრივი, საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: (გარქოვანება) ფეხის ქუსლების ნახეთქების, ბუასილის კვანძების სამკურნალოდ. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში; აწყნარებს, ხსნის დაჭიმულობას, ტკივილს, სიმძიმეს, წვას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში. ☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

## განცხადებები

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით ნეგატიური და ნერვული სტრესებით გამოწვეულ პრობლემებს: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, დეპრესიას, ძილში შფოთს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ოჯახურ პრობლემებს. ნუ დაელოდებით, თქვენ გარშემო მყოფი თავს როდის მოიკლავს ან ჩამოუყალიბდება შიზოფრენია. ჩვენ ხომ მისი გადარჩენა შეგვიძლია. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი №777. ტელ: 599-49-84-23, ნანა ქიბროწაშვილი, ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# საქართველოს ნაკრებს მეტოქე შეეცვალა

22-29 მარტს როტერდამში (ჰოლანდია) ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ვაჟ წყალბურთელთა ფინალური საკვალიფიკაციო ტურნირია. 12 გუნდში საქართველოს ნაკრებიც არის და ოლიმპიადის 3 საგზურისთვის იბრძოლებს. თუ რევაზ ჩომახიძის გუნდი მიზანს მიაღწევს, ეს ქართული სპორტის ისტორიაში პირველი შემთხვევა იქნება, როცა საქართველო ოლიმპიურ თამაშებზე კლასიკურ გუნდურ სახეობაში იქნება წარდგენილი.

ამ ტურნირის წილისყრა 11 თებერვალს ლოზანაში გაიმართა, ა ჯგუფში ჩვენი მეტოქეებიც გაირკვა: კანადა, ბრაზილია, მონტენეგრო, საბერძნეთი და აზია 1 (აზიის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი გუნდი).

თუმცა, მას მერე ბევრი რამ შეიცვალა: აზიის ჩემპიონატი წყალბურთში, რომელიც ოლიმპიადის წინასაკვალიფიკაციო ეტაპი იყო, გაუქმდა. მიზეზი კორონავირუსია. ტურნირისთვის ყაზახეთს უნდა ემასპინძლა, მაგრამ ჩინეთში ვირუსის ეპიდემიაა და ყაზახეთის მთავრობამ ამ ქვეყანასთან ყველა რეისი გააუქმა.

როგორც ევროპული მედია წერს, აზიის 2018 წლის ჩემპიონატის რეიტინგს გამოიყენებენ და ყაზახეთს პირდაპირ დაუშვებენ ოლიმპიადაზე.

რაც შეეხება, როტერდამის ტურნირს, იქ მონაწილეობის უფლება ჩინეთსა და ირანს ექნებათ. თუმცა, წერენ იმასაც, რომ ისინი ამ უფლებას არ გამოიყენებენ და როტერდამში ევროპის ჩემპიონატზე მე-12 ადგილზე გასული თურქეთს მიიწვევენ.

საკვალიფიკაციო ტურნირს დააკლდება არგენტინის ნაკრებიც, რომელიც ბ ჯგუფში მოხვდა. სამხრეთამერიკული გუნდი ტურნირიდან მოიხსნა. უკვე დადასტურდა, რომ მათ რუმინეთი შეცვლით.

მაშ ასე, ახლა საკვალიფიკაციო ეტაპი ასე გამოიყურება:

**როტერდამის ტურნირი**

**ა ჯგუფი**: საბერძნეთი, მონტენეგრო, ბრაზილია, კანადა, საქართველო, თურქეთი;

**ბ ჯგუფი**: ხორვატია, გერმანია, რუსეთი, რუმინეთი, ჰოლანდია, საფრანგეთი;

ეს 12 გუნდი 3 საგზურისთვის (რომელიც შეიძლება 4 გახდეს, იმ შემთხვევაში თუ სამხრეთ აფრიკას ოლიმპიადაზე არ დაუშვებენ) იბრძოლებს: ჯგუფების დასრულების შემდეგ, მეოთხედფინალები ჯვარედინი პრინციპით გაიმართება. საბოლოოდ, პირველ 3 ადგილზე გასული ნაკრები ტოკიოს საგზურს მოიპოვებს.



## შედეგები

**17 თებერვალი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ჩელსი-მანჩესტერი ........................ 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 26 | 25 | 1 | 0 | 61-15 | 76 |
| 2.სიტი | 25 | 16 | 3 | 6 | 65-29 | 51 |
| 3.ლესტერი | 25 | 15 | 4 | 6 | 54-26 | 49 |
| 4.ჩელსი | 26 | 12 | 5 | 9 | 43-36 | 41 |
| 6.ტოტენჰემი | 26 | 11 | 7 | 8 | 43-34 | 40 |
| 6.შეფილდი | 26 | 10 | 9 | 7 | 28-24 | 39 |
| 7.მანჩესტერი | 26 | 10 | 8 | 8 | 38-29 | 38 |
| 8.ევერტონი | 26 | 10 | 6 | 10 | 34-38 | 36 |
| 9.ვულვზი | 25 | 8 | 11 | 6 | 35-32 | 35 |
| 10.არსენალი | 26 | 7 | 13 | 6 | 36-34 | 34 |
| 11.ბარნლი | 26 | 10 | 4 | 12 | 30-39 | 34 |
| 12.საუთჰემპტონი | 26 | 9 | 4 | 13 | 32-48 | 31 |
| 13.ნიუკასლი | 26 | 8 | 7 | 11 | 24-40 | 31 |
| 14.კრ.პალასი | 26 | 7 | 9 | 10 | 23-32 | 30 |
| 15.ბრაიტონი | 26 | 6 | 9 | 11 | 31-38 | 27 |
| 16.ბორნმუთი | 26 | 7 | 5 | 14 | 26-40 | 26 |
| 17.ასტონ ვილა | 26 | 7 | 4 | 15 | 34-50 | 25 |
| 18.ვესტ ჰემი | 25 | 6 | 6 | 13 | 30-43 | 24 |
| 19.უოტფორდი | 26 | 5 | 9 | 12 | 24-40 | 24 |
| 20.ნორვიჩი | 26 | 4 | 6 | 16 | 24-48 | 18 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბოხუმი-შტუტგარტი ........................ 0:1

**იტალია. სერია ა**

მილანი-ტორინო ........................ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 24 | 18 | 3 | 3 | 46-23 | 57 |
| 2.ლაციო | 24 | 17 | 5 | 2 | 55-21 | 56 |
| 3.ინტერი | 24 | 16 | 6 | 2 | 49-22 | 54 |
| 4.ატალანტა | 24 | 13 | 6 | 5 | 63-32 | 45 |
| 5.რომა | 24 | 11 | 6 | 7 | 43-32 | 39 |
| 6.ვერონა | 24 | 9 | 8 | 7 | 28-24 | 35 |
| 7.პარმა | 24 | 10 | 5 | 9 | 32-30 | 35 |
| 8.მილანი | 24 | 10 | 5 | 9 | 26-31 | 35 |
| 9.ნაპოლი | 24 | 9 | 6 | 9 | 37-34 | 33 |
| 10.ბოლონია | 24 | 9 | 6 | 9 | 37-39 | 33 |
| 11.კალიარი | 24 | 8 | 8 | 8 | 38-36 | 32 |
| 12.სასუოლო | 24 | 8 | 5 | 11 | 38-39 | 29 |
| 13.ფიორენტინა | 24 | 7 | 7 | 10 | 31-35 | 28 |
| 14.ტორინო | 24 | 8 | 3 | 13 | 27-43 | 27 |
| 15.უდინეზე | 24 | 7 | 5 | 12 | 20-36 | 26 |
| 16.ლეჩე | 24 | 6 | 7 | 11 | 32-45 | 25 |
| 17.სამპდორია | 24 | 6 | 5 | 13 | 25-43 | 23 |
| 18.ჯენოა | 24 | 5 | 7 | 12 | 27-43 | 22 |
| 19.ბრეშა | 24 | 4 | 4 | 16 | 21-44 | 16 |
| 20.სპალი | 24 | 4 | 3 | 17 | 18-42 | 15 |

**იტალია. სერია ბ**

კიევო-სალერნიტანა ........................ 2:0

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

შატორუ-ლანსი ........................ 3:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ოფი-ატრომიტოსი ........................ 1:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ანთალია-ქაშიმფაშა ........................ 3:1

გაზიანთები-რიზე ........................ 2:0

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

იაბლონეცი-პრჟიბრჟამი ................ 4:0

**დანია. სუპერლიგა**

მიდტიულანდი-ლუნგბიუ ................ 2:0

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# მესიმ და ჰამილტონმა 2019 წელი გაიყვეს




ბერლინში მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენების დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა. 2019 წლის საუკეთესო სპორტსმენ მამაკაცებად ფეხბურთელი ლიონელ მესი და ფორმულა 1-ის პილოტი ლუის ჰემილტონი დასახელდნენ. ისტორიაში პირველად მოხდა, რომ ლაურეუსის აკადემიის პრიზი ჯილდო 2 სპორტსმენზე გაიყო.

სპორტსმენის ტიტულისთვის ასევე იბრძოდნენ: ჩოგბურთელი რაფაელ ნადალი, მეგოლფე ტაიგერ ვუდსი, მოტომრბოლელი მარკ მარკესი და მძლეოსანი ელიუდ კიპჩოგე.

**ლეო მესი:**

– ჩემთვის დიდი პატივია ეს ჯილდო, მიხარია, რომ პირველი ვარ ბარსელონაში, ვინც ლაურეუსის აკადემიის პრიზი მიიღო. დიდი მადლობა აკადემიას.

2019 წელს არგენტინელმა ფეხბურთის ისტორიაში რეკორდული, მე-6 „ოქროს ბურთი“ მოიგო, ხოლო ჰემილტონი კარიერაში მე-6-ედ გახდა ფორმულა 1-ის ჩემპიონი.

საუკეთესო ქალი სპორტსმენი ტანმოვარჯიშე სიმონ ბაილსი გახდა.

საუკეთესო გუნდი სამხრეთ აფრიკის მორაგბეთა ნაკრებია, რომელიც 2019 წელს მსოფლიოს თასის მფლობელი გახდა.

ლაურეუსის აკადემიის პრიზის ცერემონიალში ბევრი ვარსკვლავი მონაწილეობდა: კალათბურთელი დირკ ნოვიცკი, ფიგურული მოციგურავე კატარინა ვიტი, ტანმოვარჯიშე ნადია კომანეჩი, მოკრივე ვლადიმირ კლიჩკო და სხვები.

# საკალათბურთო ნაკრები ვარჯიშს შეუდგა

საქართველოს საკალათბურთო ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირისთვის მზადებას შეუდგა. პირველი სანაკრებო ფანჯრის ფარგლებში ჩვენი ეროვნული გუნდი 2 მატჩს გამართავს: 20 თებერვალს თბილისი შვეიცარიას უმასპინძლებს, ხოლო 23-ში ბელგრადში სერბეთს დაუპირისპირდება. ჩვენი ჯგუფის მე-4 წევრია ფინეთი, რომელიც პირველ ფანჯარაში საქართველოს მსგავსად სერბეთს და შვეიცარიას დაუპირისპირდება.



გაფართოებული შემადგენლობა რომ შეკვეცა, ილიას ზუროსს შეკრებაზე 16 კალათბურთელი დარჩა, დანარჩენი 8 კანდიდატი კი, სარეზერვო შემადგენლობაში შეიყვანა. თუმცა, პირველი ვარჯიშის ჩატარება თბილისის სპორტის სასახლეში ნაკლულმა დაიწყო და 14-მა კალათბურთელმა მიიღო მონაწილეობა. დუდა სანაძე და თად მაკფადენი მოგვიანებით შეუერთდნენ გუნდს.

შეგახსენებთ, რომ მათ გარდა გუნდში არიან გიორგი ცინცაძე, რატი ანდრონიკაშვილი, მერაბ ბოქოლიშვილი, საბა ლობჯანიძე, ირაკლი სულხანიშვილი, დავით კაკუშაძე, მიხეილ ბერიშვილი, გიორგი კორსანტია, ალექსანდრე ფევაძე, ბექა ბურჯანაძე, ილია ლონდარიძე, ბექა ბექაური, გიორგი შერმადინი და გიორგი ტურძილაძე.

ჯანმრთელობის მხრივ, პრობლემა მხოლოდ გიორგი ცინცაძეს აქვს, რომელმაც სრული დატვირთვით ვერ ივარჯიშა, თუმცა ექიმები და მათთან ერთად მწვრთნელებიც იმედიანად არიან, რომ ნაკრების ძირითადი გამთამაშებელი მომავალი მატჩებისთვის მოასწრებს ფორმის აღდგენას.

ზუროსი შვეიცარიასთან მატჩისთვის 12-კაციან შემადგენლობას დღეს დაასახელებს.

# მარიამ ჟორდანია უკრაინულ „ვოისში“ მონაწილეობს



„საქართველოს ვარსკვლავისა“ და ქართული „იქს ფაქტორის“ მონაწილე მარიამ ჟორდანია უკრაინული „ვოისის“ რიგით მეათე შესარჩევ კონკურსში მონაწილეობს.

ბრმა მოსმენების ტურზე მარიამის მიერ შესრულებულმა სიმღერამ უკრაინელი მწვრთნელები აღაფრთოვანა და შემოაბრუნა.

17 წლის ქართველმა მომღერალმა არჩევანი პოტაპსა და ნასტიაზე შეაჩერა და მათი გუნდის წევრი გახდა.

# ფოცხიშვილების ნაციონალური ბალეტი ეგვიპტეში საკონცერტო ტურნეს მართავს




ფოცხიშვილების ნაციონალური ბალეტი ეგვიპტეში უკვე მესამედ გაფრინდა, სადაც ერთი კვირის განმავლობაში კონცერტებს ჩაატარებს.

ინფორმაცია გელოდი ფოცხიშვილმა გაავრცელა:

– ფოცხიშვილების სამეფო ნაციონალური ბალეტი მე-3-ედ გაფრინდა ეგვიპტეში. ერთი კვირის მანძილზე ქართველი მოცეკვავეები 6 კონცერტს გამართავენ, 5 კონცერტი დაგეგმილია კაიროს ცნობილ ოპერისა და ბალეტის თეატრში, სადაც ყველა ბილეთი უკვე გაყიდულია. ერთი კონცერტი კი ჩატარდება პირამიდებთან რამზეს ქანდაკების წინ, სადაც მომზადდა სპეციალური სცენა ქართველი მოცეკვავეებისათვის.

კონცერტზე დაპატიჟებული არიან ეგვიპტეში აკრედიტებული საელჩოების წარმომადგენლები და ქვეყანაში ჩამოსული ტურისტები, გასტროლების ორგანიზატორია ეგვიპტის კულტურის სამინისტრო და კაიროს ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექცია. წარმატებები ფოცხიშვილებს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. მცირე ამპლიტუდის რხევები; 2. საკონდიტრო ნაწარმი; 3. საცხოვრებელი სათავსო სახლის სხვენზე; 4. მონასტერი ახალციხის რაიონში; 7. კათოლიკური ჯვარი; 9. ქალაქის თვითმმართველობის ორგანო იტალიაში; 12. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ადიგენის რაიონში; 14. სოციოლოგიური კვლევის ამერიკული ორგანიზაცია; 15. მამათა მონასტრის წინამძღვარი; 17. ნიუ იორკის ერთ-ერთი რაიონი; 20. ანტარქტიდის ინგლისელი მკვლევარი.

**თარაზულად**: 5. სხვადასხვა სახეობის ორი ორგანიზმის თანაცხოვრება; 6. მაღალხარისხოვანი ყავის ერთ-ერთი ჯიში; 8. ბეისბოლის მოთამაშის ამპლუა; 10. ღია ლურჯი ფერი, ცის ეპითეტი; 11. ჩინეთის საინფორმაციო სააგენტო; 13. ისტორიული ჩანაწერები, რომლებსაც აღნუსხავდნენ მემატიანეები; 16. ვაზის ხეივანი; 18. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 19. ქართული საბავშვო ოპერა „დაუპატიჟებელი სტუმრების“ კომპოზიტორი; 21. მაკედონიის დედაქალაქი; 22. გასართობად შეთხზული მოკლე სასაცილო ამბავი; 23. ასპირინის გამომგონებელი გერმანელი ქიმიკოსი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. რეტორტა; 2. პანორამა; 3. ურთხელი; 5. აფერისტი; 7. ვაგნერი; 9. რეპარაცია; 13. ლეოხარი; 15. შურხი; 16. ორვილე; 18. ულისე;

**თარაზულად:** 4. პედიატრი; 6. ავადჰარა; 8. კონცენტრატი; 10. ამნეზია; 11. პული; 12. ირონია; 14. აშული; 17. დაფნე; 19. გროგი; 20. პირსინგი; 21. არფა; 22. ფილისტერი; 23. ვერსალი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. შამბრიერი; 2. დესპანი; 3. ტონიკი; 4. ტოსკა; 5. გლორია; 11. კოპოლა; 12. სტამბა; 14. ჯუთი; 16. მანტისა; 17. კოლხეთი; 19. კოროზია; 21. შონია; 22. ტაქსა.

**თარაზულად:** 6. ვაპორეტო; 7. პრომილე; 8. კიური; 9. პრიზმა; 10. კონკა; 13. ბრიჯი; 15. ამბროლაური; 18. ბამბუკი; 20. ორლი; 21. შერიფი; 23. ბარმაქსიზი; 24. თარჩია.

# სამგლოვიარო განცხადებები

სამშობიარო სახლი „იმედის კლინიკა“ და „პედიატრიული საავადმყოფო“ იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ექიმ თინათინ ღვინაშვილის დედა

**ნელი ღვინაშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

19 თებერვალი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.8631 |
| ევრო | — 3.1010 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 3.7321 |
| 100 რუსული რუბლი | — 4.5283 |

## ამინდის პროგნოზი 19 თებერვლისთვის







## 18 თებერვლიდან
მიხეილ კვესელავა
## ნიურნბერგის პროცესი
ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

## რეზო ესაძე 86 წლის გახდა



ცნობილი ქართველი კინორეჟისორი, სცენარისტი, მსახიობი, მხატვარი და პოეტი რეზო ესაძე 86 წლის გახდა.

იუბილარმა ხელოვანმა მილოცვები მიიღო როგორც უახლოესი მეგობრებისგან, ასევე კოლეგებისგან, მთავრობის წარმომადგენლებისა თუ რიგითი გულშემატკივრებისგან.

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, საქართველოს სახალხო არტისტსა და საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს არაერთი ადგილობრივი და საერთაშორისო ჯილდო აქვს მიღებული, მათ შორის, საქართველოს სახელმწიფო პრემია, თბილისის საერთაშორისო ფესტივალის მთავარი ჯილდო „ოქროს პრომეთე“, კემბრიჯისა და ვაშინგტონის საერთაშორისო კატალოგების საპატიო ორდენი და რესპუბლიკური, საკავშირო და საერთაშორისო ფესტივალების პრიზი.

რეზო ესაძის შემოქმედებას ეკუთვნის ცნობილი ფილმები: „წკიპურტები“, „ერთი ნახვით შეყვარება“, „ნეილონის ნაძვის ხე“, „წისქვილი ქალაქის გარეუბანში“. მას, როგორც კინომსახიობს, რამდენიმე ათეულ ფილმში აქვს მონაწილეობა მიღებული: „ერთი წლის ცხრა დღე“, „მონანიება“, „ზოგი ჭირი მარგებელია“, „ნაგაზი“, „ქალაქი ანარა“...

გასულ წელს ქართველი კინორეჟისორის 85 წლის იუბილეზე მისი სახელობის ვარსკვლავი, კულტურის პალატის ინიციატივით, კინოთეატრი „რუსთაველის“ წინ საზეიმოდ გაიხსნა.

## დოდო ალექსიძის 110 წლის იუბილე თეატრალურ უნივერსიტეტში აღინიშნება



საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი 24 თებერვალს ქართველი რეჟისორის, პედაგოგის, თეატრალური მოღვაწის, დიმიტრი დოდო ალექსიძის დაბადებიდან 110 წლის იუბილეს აღნიშნავს.

ამ თარიღთან დაკავშირებით თეატრალურ უნივერსიტეტში დოდო ალექსიძისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიმართება.

რეზო კლდიაშვილი, დრამატურგი:

— ჩემი ძია დოდო — თვითონ მოსიარულე თეატრი, ზეიმი თან ახლდა ყველგან და ყოველთვის. საღამოს თეატრიდან სახლში გვიან რომ ბრუნდებოდა, სხვა, საინტერესო ცხოვრება იწყებოდა. ალიკას, გოგის და ნინას მეგობრები ამ ზეიმის მონაწილეები ვიყავით: გასტონ ბუაჩიძე, რისმაგ გორდეზიანი, პიკო ნიჟარაძე მეუღლეებით და ვინ არა.

დეიდა თამარი, ეს ღვთისნიერი ქალბატონი, რა სტუმრიანობას უძლებდა მომღიმარი სახით. ძია დოდო ხმაურით შემოვიდოდა მისაღებ ოთახში და მქუხარე ტაშის ფონზე თავდახრილი იდგა გულზე ხელდაკრეფილი მომღიმარი სახით. ღმერთო, რა ბედნიერი ვიყავით ამ ზეიმების მონაწილეები. დამხმარე ქალის დუსიას ბლინები?

## ასტროპროგნოზი

19 თებერვლისთვის



**ვერძი** — ცდუნების ალბათობა იზრდება. თავი შეიკავეთ საქმის გარჩევებისაგან. კრიტიკული დღეა. **კურო** — თქვენი ენერგიულობა გადამდებია. ასე განაგრძეთ, ოღონდ ეცადეთ, ზედმეტად არ დაიტვირთოთ. **ტყუპები** — მიენდეთ ინტუიციას. პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღეთ. სხვის საქმეში ნუ ჩაერევით. **კირჩხიბი** — იღბლიანი დღეა. მხოლოდ ის საქმე აკეთეთ, რაც შეგიძლიათ. საღამოს დაისვენეთ და პირად ცხოვრებას მიხედეთ. **ლომი** — ფინანსური მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება. მთავარია მოთმინება. **ქალწული** — გარშემომყოფებს სიყვარულით მოეპყარით. საპასუხოდ სიყვარულსა და თანადგომას მიიღებთ. **სასწორი** — კომერციული საქმიანობისგან თავი შეიკავეთ. დღეს არ ღირს ახალი საქმის დაწყება. **ღრიანკალი** — კეთილისმყოფელი დღეა. დაკავდით სპორტით, მიიღეთ ახალი ინფორმაცია, გაიფართოვეთ თვალსაწიერი. **მშვილდოსანი** — სასიცოცხლო ენერგია გემატებათ. ახალგაცნობილი ადამიანები საკმაოდ საინტერესო იდეებს გთავაზობენ. **თხის რქა** — წინააღმდეგობრივი დღეა. საკუთარი პოზიციების დაცვა აუცილებელია. ნუ მოეშვებით. **მერწყული** — ფინანსური კრიზისი არ გემუქრებათ. თქვენი შემოსავალი მნიშვნელოვნად იზრდება. გელით სხვა სასიამოვნო სიახლეებიც. **თევზები** — თუ ახალი საქმის დაწყება გადაწყვიტეთ, არ გარისკოთ. უმჯობესია, ძველი საქმეები დაამთავროთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## იუმორი

ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მედდა ექიმს ეუბნება:

— ექიმო, პაციენტი მეექვსე პალატიდან ამბობს, რომ ის მგელია. როგორ მოვიქცეთ?

— არაფერი განსაკუთრებული, უბრალოდ, ბებიასთან ნუ მიუშვებთ.

•••

ორი ქალი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

— რამდენი კილო ხარ?

— არ ვიცი. სახლში სასწორი არ მაქვს, განწყობა რომ არ გავიფუჭო.

— ვატყობ, არც სარკე გაქვს სახლში...

•••

ცოლი სახლში დაბრუნებულ ქმარს აღშფოთებული გამომეტყველებით ეუბნება:

— ისევ დათვერი, არადა, გუშინ რა ბედნიერი ვიყავი, სახლში ფხიზელს რომ გხედავდი!

— ჰოდა, დღეს ჩემი ბედნიერების ჯერია.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

— სიცრუის დეტექტორი თუ გაქვს ნანახი?

— ნანახი კი არა, მასზე დაქორწინებაც კი მოვახერხე.

•••

გოგონა დედას ეუბნება:

— დედიკო, გიგიმ მითხრა, რომ კარგი გოგო ვარ! შეიძლება, ჩვენთან რომ დავპატიჟო?

— არ გინდა, შვილო. აზრს ნუ შევაცვლევინებთ...

•••

ქალი მამაკაცს ეუბნება:

— შეგიძლიათ გინების გარეშე? აქ ბავშვს ვერ ხედავთ?!

— მე მხოლოდ იმ სიტყვებს ვამბობ ხმამაღლა, რომლებიც მან ჩემს მანქანაზე ამოკაწრა!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ჟოზე მოურინიო: „ლაიპციგი ძალიან ძლიერი გუნდია“



ტოტენჰემის მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ ლაიპციგთან შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ მის გუნდს ძალიან რთული მატჩი ელის, რადგან ლაიპციგი ძლიერი გუნდია.

მოურინიოს აზრით, პირველი თამაში ლონდონში მნიშვნელოვანი იქნება:

— პირველ შეხვედრაში აუცილებლად უნდა მოვიპოვოთ უპირატესობა, რადგან, თუ ამას არ გავაკეთებთ, მაშინ გერმანიაში ჩვენი ამოცანა კიდევ უფრო გართულდება. ლაიპციგის წინააღმდეგ იდეალურად უნდა ვითამაშოთ და ამ შემთხვევაში შევძლებთ გამარჯვებას.

ტოტენჰემისა და ლაიპციგის შეხვედრა 19 თებერვალს გაიმართება.

## გარი ნევილი: „უეფა უსარგებლო ორგანიზაციაა“




ყოფილმა ფეხბურთელმა და ამჟამად საფეხბურთო ექსპერტმა გარი ნევილმა მანჩესტერ სიტის ორწლიან დისკვალიფიკაციაზე ისაუბრა და თქვა, რომ ეს გადაწყვეტილება უსამართლო იყო და უეფა უსარგებლო ორგანიზაციაა.

ნევილი იმედოვნებს, რომ სიტი სასამართლოს მოიგებს და მათ ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლებას მისცემენ:

— არ მესმის, რატომ მიიღო უეფამ ასეთი გადაწყვეტილება. მათ კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ უსარგებლო ორგანიზაცია არიან და იმედი მაქვს, სიტი სასამართლოს მოიგებს. მათ გარეშე ჩემპიონთა ლიგა უინტერესო იქნება.

## ჯორდან ჰენდერსონი: „კოუტინიოს დრო ლივერპულში წავიდა“

ლივერპულის კაპიტანმა ჯორდან ჰენდერსონმა ფელიპე კოუტინიოზე ისაუბრა და თქვა, რომ მისი დრო ლივერპულში წავიდა და ის უკვე ველარ შეძლებს ამ გუნდში თამაშს. ჰენდერსონის აზრით, ლივერპული ძალიან შეიცვალა იმის მერე, რაც გუნდიდან კოუტინიო წავიდა:

— კოუტინიო ძლიერი ფეხბურთელია და მას ყოველთვის წარმატებას ვუსურვებ, მაგრამ ლივერპულში მის ადგილს ველარ ვხედავ. ჩვენ შევიცვალეთ და უკვე განსხვავებული თამაშის სტილი გვაქვს, სადაც კოუტინიო ვერ ჩაეწერებოდა.

## პორტოს ფორვარდმა მუსა მარეგამ რასიზმზე ისაუბრა



პორტოს მალელმა ფორვარდმა მუსა მარეგამ ვიტორიასთან შეხვედრის დროს მოედანი დატოვა, რადგან მას რასისტული შეურაცხყოფა მიაყენეს.

ამ ინციდენტმა პორტუგალიაში დიდი რეზონანსი გამოიწვია და მარეგამ განაცხადა, რომ მისთვის ეს ძალიან მტკივნეულია:

— რთულია, როდესაც გესმის, რომ შენს კანის ფერს შეურაცხყოფას აყენებენ და ამას ნორმალური ადამიანი ვერ მოითმენს, განსაკუთრებით, როდესაც მთელი სტადიონისგან გესმის შეძახილები. ამ ყველაფრის გამო დამწუხრებული ვარ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## რეზო ჭოხონელიძის დაბადების დღე „ერისიონმა“ კონცერტით აღნიშნა



ანსამბლ „ერისიონის“ ქორეოგრაფის რეზო ჭოხონელიძის დაბადების დღე ანსამბლის წევრებმა კონცერტით აღნიშნეს.

— ჩვენ გვახსოვს რევაზ ჭოხონელიძე! — ასეთია ანსამბლის დევიზი, რომელმაც ქორეოგრაფის ხსოვნას პატივი მის საფლავზე გასვლითა და ყვავილებით შემკობით მიაგო.

21-ე საუკუნის ქორეოგრაფიის ერთ-ერთი მეტრი — ასე უწოდეს პარიზში საქართველოს სახალხო არტისტს, რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატს, რევაზ ჭოხონელიძეს, რომელსაც 82 წელი შეუსრულდებოდა.

მას დაბადების დღე ანსამბლმა „ერისიონმა“ კონცერტით მიულოცა. კონცერტზე მისი ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარი ცეკვა „სნოური“ შესრულდა, რომელიც რეზო ჭოხონელიძემ ჩვენს პატრიარქს, ილია მეორეს მიუძღვნა. ეს ცეკვა ანსამბლს წლების წინ მხოლოდ ერთხელ აქვს შესრულებული და დღესდღეობით „სნოური“ პროგრამაში არ არის.

ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელმა და მთავარმა ქორეოგრაფმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ რევაზ ჭოხონელიძის დაბადების დღეზე, ანსამბლის სოლისტების შესრულებით კიდევ ერთხელ ეხილა მაყურებელს ცეკვა „სნოური“.

რევაზ ჭოხონელიძე 1986-2014 წლებში ანსამბლ „ერისიონის“ მთავარი ქორეოგრაფი იყო. მის სახელთან არის დაკავშირებული „ერისიონის“ რეპერტუარში არსებული არაერთი ცეკვის განხორციელება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 2. საპრივატიზაციო პოლისი; 3. ჩქაროსნული ავტომაგისტრალი; 4. ადამიანის გონებრივი განვითარების დონე; 5. სახლის ზედა სართული თუშეთსა და ფშავ-ხევსურეთში; 6. აფხაზეთში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 8. ღვინის შესანახი ჭურჭელი; 11. განახლება, სიახლის შემოტანა რამე საქმეში; 14. სწავლა-განათლებისა და მეცნიერების მოწინააღმდეგე; 15. სასტუმრო გაგრაში; 16. ცხენოსანი ჯარის, კავალერიის ქვედანაყოფი; 17. სიკო დოლიძის მხატვრული ფილმი; 19. ძვირფასი მაჯის საათების მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა; 21. უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 22. იაპონური აბანო.

**თარაზულად**: 1. უბანი თბილისში; 5. აღდგომის მისალოცი სიმღერა; 7. ქართული ხალხური ზღაპარი; 9. ნიადაგის გასაფხვიერებელი აგრეგატი; 10. რაიონული ცენტრი სვანეთში; 12. გურიასა და აჭარაში გავრცელებული ვარდისფერყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 13. რკალითა და ორი რადიუსით შემოსაზღვრული წრის ნაწილი; 16. ლიტერატურული ნაწარმოების ცალკეული თავის წინ წამძღვარებული ციტატა; 17. ჩაის ბუჩქის ნორჩი ყლორტი; 18. ყოველდღიური გაზეთი ესპანეთში; 20. გემის, თვითმფრინავის ტარების სპეციალისტი; 22. მდინარე გურიაში; 23. ბერძნული მითოლოგიის გმირი; 24. ენამოსწრებული, ხუმარა ადამიანი; 25. იტალიელ ფერმწერ რაფაელის გვარი.



შეადგინა თ.კოპალეიშვილმა